

ხულოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №10
2024 წლის 22 აგვისტო

დაბა ხულო

„ხულოს მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ხულოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 22 დეკემბრის №18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ.ა“ ქვეპუნქტისა და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტისა და „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 63-ე მუხლის საფუძველზე ხულოს მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1

„ხულოს მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ხულოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 22 დეკემბრის №18 დადგენილებაში შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებული დანართი ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ხულოს მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

რენარ ბოლქვაძე

დანართი

ხულოს მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტი
თავი I

ხულოს მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის მაჩვენებლები

მუხლი 1. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ბალანსი

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ბალანსი თანდართული რედაქციით;

| დასახელება | 2022 წლის ფაქტი | 2023 წლის გეგმა | 2024 წლის გეგმა |
|-------------------------|-------------------|-------------------|-------------------|
| შემოსავლები | 19 628 420 | 24 894 000 | 30 877 410 |
| გადასახადები | 8 925 838 | 9 926 400 | 9 959 000 |
| გრანტები | 10 361 878 | 14 200 000 | 18 825 000 |
| სხვა შემოსავლები | 340 704 | 767 600 | 2 093 410 |
| ხარჯები | 12 198 265 | 14 885 969 | 17 678 014 |
| შრომის ანაზღაურება | 4 817 368 | 6 496 308 | 7 158 586 |
| საქონელი და მომსახურება | 4 536 316 | 5 723 966 | 6 905 780 |
| პროცენტი | 0 | 0 | 0 |
| სუბსიდიები | 3 250 | 29 500 | 107 135 |
| გრანტები | 236 259 | 327 800 | 303 190 |
| სოციალური უზრუნველყოფა | 1 204 644 | 1 441 433 | 1 536 120 |
| სხვა ხარჯები | 1 400 428 | 866 962 | 1 667 203 |



| | | | |
|---------------------------------|----------------|-----------------|-----------------|
| საოპერაციო სალდო | 7 430 155 | 10 008 031 | 13 199 396 |
| არაფინანსური აქტივების ცვლილება | 7 451 923 | 10 677 631 | 13 661 828 |
| ზრდა (შემენა) | 7 451 923 | 10 677 631 | 13 661 828 |
| კლება (გაყიდვა) | 0 | 0 | 0 |
| მთლიანი სალდო | -21 768 | -669 600 | -462 432 |
| ფინანსური აქტივების ცვლილება | -21 768 | -669 600 | -462 432 |
| ზრდა | 0 | 0 | 0 |
| ვალუტა, დეპოზიტები | 0 | 0 | 0 |
| სესხები | 0 | 0 | 0 |
| კლება | 21 768 | 669 600 | 462 432 |
| ვალუტა, დეპოზიტები | 21 768 | 669 600 | 462 432 |
| სესხები | 0 | 0 | 0 |
| ვალდებულებების ცვლილება | 0 | 0 | 0 |
| ზრდა | 0 | 0 | 0 |
| სესხები | 0 | 0 | 0 |
| კლება | 0 | 0 | 0 |
| სესხები | 0 | 0 | 0 |
| ბალანსი | 0 | 0 | 0 |

მუხლი 2. ხულოს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება თანდართული რედაქციით;

| დასახელება | 2022 წლის ფაქტი | 2023 წლის გეგმა | 2024 წლის გეგმა |
|-----------------------------------------------|-------------------|-------------------|-------------------|
| შემოსულობები | 19 628 420 | 24 894 000 | 30 877 410 |
| შემოსავლები | 19 628 420 | 24 894 000 | 30 877 410 |
| არაფინანსური აქტივების კლება | 0 | 0 | 0 |
| ფინანსური აქტივების კლება (ნაშთის გამოკლებით) | 0 | 0 | 0 |
| ვალდებულებების ზრდა | 0 | 0 | 0 |
| გადასახდელები | 19 650 188 | 25 563 600 | 31 339 842 |
| ხარჯები | 12 198 265 | 14 885 969 | 17 678 014 |



| | | | |
|----------------------------------------------|----------------|-----------------|-----------------|
| არაფინანსური აქტივების ზრდა | 7 451 923 | 10 677 631 | 13 661 828 |
| ფინანსური აქტივების ზრდა (ნაშთის გამოკლებით) | 0 | 0 | 0 |
| ვალდებულებების კლება | 0 | 0 | 0 |
| ნაშთის ცვლილება | -21 768 | -669 600 | -462 432 |

მუხლი 3. ხულოს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლები

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლები 30 877 410 ლარის ოდენობით;

| დასახელება | 2022 წლის ფაქტი | 2023 წლის გეგმა | 2024 წლის გეგმა |
|------------------------------|-------------------|-------------------|-------------------|
| შემოსულობები | 19 628 420 | 24 894 000 | 30 877 410 |
| შემოსავლები | 19 628 420 | 24 894 000 | 30 877 410 |
| გადასახადები | 8 925 838 | 9 926 400 | 9 959 000 |
| გრანტები | 10 361 878 | 14 200 000 | 18 825 000 |
| სხვა შემოსავლები | 340 704 | 767 600 | 2 093 410 |
| არაფინანსური აქტივების კლება | 0 | 0 | 0 |
| ვალდებულებების ზრდა | 0 | 0 | 0 |

მუხლი 4. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახადები

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახადები 9 959 000 ლარის ოდენობით:

| დასახელება | 2022 წლის ფაქტი | 2023 წლის გეგმა | 2024 წლის გეგმა |
|-----------------------------------------------|------------------|------------------|------------------|
| გადასახადები | 8 925 838 | 9 926 400 | 9 959 000 |
| საშემოსავლო გადასახადი | 0 | 0 | 0 |
| ქონების გადასახადი | 4 536 099 | 4 500 000 | 3 200 000 |
| საქართველოს საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა) | 3 781 440 | 4 494 000 | 3 190 000 |
| უცხოურ საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა) | 409 170 | 0 | 0 |
| ფიზიკურ პირთა ქონებაზე (გარდა მიწისა) | 5 409 | 1 000 | 5 000 |
| სასოფლო –სამეურნეო დანიშნულების მიწაზე | 2 862 | 0 | 0 |
| არასასოფლო –სამეურნეო დანიშნულების მიწაზე | 337 218 | 5 000 | 5 000 |
| სხვა გადასახადები ქონებაზე | | | |
| დამატებული ღირებულების გადასახადი | 4 389 739 | 5 426 400 | 6 759 000 |



მუხლი 5. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გრანტები

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გრანტები 18 825 000 ლარის ოდენობით;

| დასახელება | 2022 წლის ფაქტი | 2023 წლის გეგმა | 2024 წლის გეგმა |
|------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|-------------------|-------------------|-------------------|
| გრანტები | 10 361 878 | 14 200 000 | 18 825 000 |
| საერთაშორისო ორგანიზაციებიდან მიღებული გრანტები | 200 000 | 0 | 0 |
| უცხო ქვეყნების მთავრობებიდან ან მათი წარმომადგენლობებიდან მიღებული გრანტები | 0 | 0 | 0 |
| სახელმწიფო მმართველობის სხვადასხვა დონის ორგანიზაციებიდან მიღებული გრანტები | 10 161 878 | 14 200 000 | 18 825 000 |
| გათანაბრებითი ტრანსფერი | 0 | 0 | 0 |
| სპეციალური ტრანსფერი | 1 650 000 | 3 000 000 | 4 500 000 |
| მიზნობრივი ტრანსფერი | 0 | 0 | 0 |
| კაპიტალური გრანტები ცენტრალური ბიუჯეტიდან | 0 | 0 | 0 |
| აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტიდან გამოყოფილი კაპიტალური ტრანსფერი | 6 049 078 | 9 793 570 | 11 040 000 |
| აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტიდან გამოყოფილი სპეციალური ტრანსფერი | 1 487 996 | 1 406 430 | 3 285 000 |
| აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტით გათვალისწინებული ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე არსებულ მუნიციპალიტეტებში განსახორციელებელი პროექტების ფონდი (სოფლის მხარდაჭერის პროგრამა) | 974 804 | 0 | 0 |

მუხლი 6. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სხვა შემოსავლები

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სხვა შემოსავლები 2 093 410 ლარის ოდენობით;

| დასახელება | 2022 წლის ფაქტი | 2023 წლის გეგმა | 2024 წლის გეგმა |
|---------------------------------------------------|-----------------|-----------------|------------------|
| სხვა შემოსავლები | 340 704 | 767 600 | 2 093 410 |
| შემოსავლები საკუთრებიდან | 225 168 | 260 000 | 468 700 |
| პროცენტები | 119 861 | 140 000 | 353 700 |
| დივიდენდები | 0 | 0 | 0 |
| რენტა | 105 307 | 120 000 | 115 000 |
| მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის | 95 645 | 120 000 | 115 000 |



| | | | |
|-----------------------------------------------------------------------------------|---------------|----------------|------------------|
| შემოსავალი მიწის იჯაროდან და მართვაში (უზურფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან | 9 662 | 0 | 0 |
| სხვა არაკლასიფიცირებული რენტა | 0 | 0 | 0 |
| საქონლის დამოსახურების რეალიზაცია | 23 165 | 29 000 | 30 000 |
| ადმინისტრაციული მოსაკრებლები და გადასახდელები | 23 165 | 29 000 | 30 000 |
| საერთო-სახელმწიფოებრივი სალიცენზიო მოსაკრებელი | | | |
| სანებართვო მოსაკრებელი | 15 961 | 25 000 | 25 000 |
| სამხედრო სავალდებულო სამსახურის გადავადების მოსაკრებელი | 200 | 0 | 0 |
| ადგილობრივი მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის | 7 004 | 4 000 | 5 000 |
| სხვა არაკლასიფიცირებული მოსაკრებელი | 0 | 0 | 0 |
| არასაბაზრო წესით გაყიდული საქონელი და მომსახურება | 0 | 0 | 0 |
| შემოსავლები საქონლის რეალიზაციიდან | 0 | 0 | 0 |
| შემოსავლები მომსახურების გაწევიდან | 0 | 0 | 0 |
| ჯარიმები, სანქციები და საურავები | 20 456 | 26 000 | 20 000 |
| ნებაყოფლობითი ტრანსფერები, გრანტების გარეშე | 0 | 25 000 | 101 142 |
| შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები | 71 915 | 427 600 | 1 473 568 |

მუხლი 7. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯები

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯები 17 678 014 ლარის ოდენობით;

| ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის კოდი | დასახელება | 2022 წლის ფაქტი | 2023 წლის გეგმა | 2024 წლის გეგმა |
|-----------------------------------------|-------------------------|-----------------|-----------------|-----------------|
| 2 | ხარჯები | 12 198 265 | 14 885 969 | 17 678 014 |
| 21 | შრომის ანაზღაურება | 4 817 368 | 6 496 308 | 7 158 586 |
| 22 | საქონელი და მომსახურება | 4 536 316 | 5 723 966 | 6 905 780 |
| 25 | სუბსიდიები | 3 250 | 29 500 | 107 135 |
| 26 | გრანტი | 236 259 | 327 800 | 303 190 |
| 27 | სოციალური უზრუნველყოფა | 1 204 644 | 1 441 433 | 1 536 120 |
| 28 | სხვა ხარჯები | 1 400 428 | 866 962 | 1 667 203 |

მუხლი 8. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება 13 661 828 ლარის



ოდენობით, მათ შორის:

ა) განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ზრდა 13 661 828 ლარის ოდენობით;

| პროგრამული კოდი | დასახელება | 2022 წლის ფაქტი | 2023 წლის გეგმა | 2024 წლის გეგმა |
|-----------------|-----------------------------------------------------------|------------------|-------------------|-------------------|
| 01 00 | წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსება | 27 039 | 309 703 | 476 691 |
| 02 00 | ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია | 6 678 680 | 8 622 523 | 10 032 787 |
| 03 00 | დასუფთავება და გარემოს დაცვა | 2 800 | 376 232 | 1 570 528 |
| 05 00 | განათლება | 369 775 | 795 953 | 481 246 |
| 06 00 | კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი | 274 864 | 571 020 | 1 100 576 |
| 07 00 | მოსახლეობის ჯანმთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა | 98 765 | 1 700 | 0 |
| | სულ ჯამი | 7 451 923 | 10 677 131 | 13 661 828 |

ბ) განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების კლება 0 ათასი ლარის ოდენობით;

მუხლი 9. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდის ფუნქციონალური კლასიფიკაცია

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდა ფუნქციონალურ ქრილში 31 339 842 ლარით.

| ფუნქციონალური კლასიფიკაციის კოდი | დასახელება | 2022 წლის ფაქტი | 2023 წლის გეგმა | 2024 წლის გეგმა |
|----------------------------------|---------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|-----------------|-----------------|-----------------|
| 701 | საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება | 2 984 541 | 4 427 050 | 5 195 311 |
| 7011 | წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა, ფინანსური და ფისკალური საქმიანობა, საგარეო ურთიერთობები | 2 984 541 | 4 391 550 | 4 775 311 |
| 70111 | წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა | 2 984 541 | 4 142 358 | 4 545 985 |
| 70112 | ფინანსური და ფისკალური საქმიანობა | 0 | 249 192 | 229 326 |
| 7013 | საერთო დანიშნულების მომსახურება | 0 | 35500 | 420 000 |
| 702 | თავდაცვა | 106 550 | 153 259 | 0 |



| | | | | |
|-------|-------------------------------------------------------------------------------------|-----------|-----------|-----------|
| 7022 | სამოქალაქო თავდაცვა | 106 550 | 153 259 | 0 |
| 703 | საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება | 0 | 0 | 1 300 000 |
| 7036 | სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საზოგადოებრივი წესრიგისა და უსაფრთხოების სფეროში | 0 | 0 | 1300000 |
| 704 | ეკონომიკური საქმიანობა | 1 532 470 | 3 319 781 | 2 491 084 |
| 7045 | ტრანსპორტი | 1 532 470 | 3 319 781 | 2 491 084 |
| 70451 | სავტომობილო ტრანსპორტი და გზები | 1 433 644 | 3 223 181 | 2 311 584 |
| 70455 | მილსადენები და სხვა სახის სატრანსპორტო საშუალებები | 98 826 | 96 600 | 179 500 |
| 705 | გარემოს დაცვა | 187 101 | 624 022 | 569 669 |
| 7051 | ნარჩენების შეგროვება, გადამუშავება და განადგურება | 960 | 372 252 | 258 378 |
| 7052 | ჩამდინარე წყლების მართვა | 186 141 | 251 770 | 311 291 |
| 706 | საბინაო კომუნალური მეურნეობა | 6 703 080 | 7 390 794 | 9 679 088 |
| 7062 | კომუნალური მეურნეობის განვითარება | 2 923 971 | 3 158 292 | 6 120 607 |
| 7063 | წყალმომარაგება | 1 154 750 | 1 415 119 | 1 901 936 |
| 7064 | გარე განათება | 294 111 | 350 550 | 444 885 |
| 7066 | სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საბინაო-კომუნალურ მეურნეობაში | 2 330 248 | 2 466 833 | 1 211 660 |
| 707 | ჯამრთელობის დაცვა | 1 094 182 | 1 298 300 | 1 429 316 |
| 7076 | სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა ჯამრთელობის დაცვის სფეროში | 1 094 182 | 1 298 300 | 1 429 316 |
| 708 | დასვენება, კულტურა და რელიგია | 1 711 382 | 2 525 765 | 3 792 871 |
| 7081 | მომსახურება დასვენებისა და სპორტის სფეროში | 558 478 | 964 980 | 1 341 095 |
| 7082 | მომსახურება კულტურის სფეროში | 1 142 930 | 1 536 725 | 1 921 776 |
| 7084 | რელიგიური და სხვა სახის საზოგადოებრივი საქმიანობა | 9 974 | 24 060 | 530 000 |
| 709 | განათლება | 3 743 867 | 4 958 769 | 5 396 268 |



| | | | | |
|----------------------------|------------------------------------------------------------------------|------------|------------|------------|
| 7091 | სკოლამდელი აღზრდა | 3 005 855 | 3 732 718 | 4 344 661 |
| 7098 | სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა განათლების სფეროში | 738 012 | 1 226 051 | 1 051 607 |
| 710 | სოციალური დაცვა | 1 587 015 | 865 860 | 1 486 235 |
| 7107 | სოციალური გაუცხოების საკითხი, რომლებიც არ ექვემდებარება კლასიფიცირებას | 49 843 | 51 500 | 67 800 |
| 7109 | სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა სოციალური დაცვის სფეროში | 1 537 172 | 814 360 | 1 418 435 |
| სულ ბიუჯეტის გადასახდელები | | 19 650 188 | 25 563 600 | 31 339 842 |

მუხლი 10. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მთლიანი სალდო

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მთლიანი სალდო 462 432 ლარის ოდენობით.

მუხლი 11. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება

1. განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება 462 432 ლარის ოდენობით;

2. განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების კლება 462 432 ლარის ოდენობით;

| დასახელება | 2022 წლის ფაქტი | 2023 წლის გეგმა | 2024 წლის გეგმა |
|------------------------------|-----------------|-----------------|-----------------|
| ფინანსური აქტივების ცვლილება | -21 768 | -669 600 | -462 432 |
| ზრდა | 0 | 0 | 0 |
| ვალუტა, დეპოზიტები | 0 | 0 | |
| სესხები | 0 | 0 | 0 |
| კლება | 21 768 | 669 600 | 462 432 |
| ვალუტა, დეპოზიტები | 21 768 | 669 600 | 462 432 |
| სესხები | 0 | 0 | 0 |

მუხლი 12. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ვალდებულებების ცვლილება

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ვალდებულებების ცვლილება 0 ლარის ოდენობით.

მუხლი 13. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდი

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გაუთვალისწინებელი გადასახდელების დაფინანსების მიზნით მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში შეიქმნას სარეზერვო ფონდი 130 000 ლარის ოდენობით და მისი განკარგვა განხორციელდეს მუნიციპალიტეტის მერის ბრძანების შესაბამისად.



მუხლი 14. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის დავალიანების ფონდი

ითვალისწინებს წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანებების დაფარვისა და სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდი ხარჯს. მიმდინარე ეტაპზე გათვალისწინებულია 99 326 ლარი.

მუხლი 15. სოფლად მცხოვრები ქალების სოციალურ-ეკონომიკური გაძლიერება

მუნიციპალიტეტი თანადაფინანსებით მონაწილეობს საგრანტო კონკურსში, რომელსაც განახორცილებს ხულოს მუნიციპალიტეტის მერია და მასში მონაწილეობას ღებულობს ადგილობრივი თვითმართველობა, რაც საშუალებას აძლევს მონაწილეს მოიგოს პროექტი და განახორციელოს ხულოს მუნიციპალიტეტში სხვადასხვა სოციალ-ეკონომიკური მიმართულებები. გათვალისწინებულია 20 000 ლარი.

მუხლი 16. მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული შენობებისა და ა(ა)იპ-სათვის საოფისე ტექნიკისა და ინვენტარის შეძენა

აჭარის ა.რ. რესპუბლიკური ბიუჯეტიდან მისაღები სპეციალური ტრანსფერის ხარჯზე განხორციელდება მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული და მის დაფინანსებაზე მყოფი ობიექტებისათვის სხვადასხვა სახის ტექნიკისა და ინვენტარის შეძენა, რომლის მთლიანი ბიუჯეტი შეადგენს 400 000 ლარს.

მუხლი 17. მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული შენობებისათვის მიწის ნაკვეთის შეძენა

განხორციელდება მიწის ნაკვეთის შეძენა ადმინისტრაციული შენობების, საბავშვო ბაღების, სკოლების და სხვა შენობა-ნაგებობების მშენებლობისათვის კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 18. მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფა

მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფის პროგრამისათვის გამოყოფილი ასიგნებების განკარგვა განხორციელდეს მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დადგენილი წესის და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

თავი II

ხულოს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პრიორიტეტები, პროგრამები/ქვეპროგრამები

მუხლი 19. ხულოს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პრიორიტეტები

- ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია;
- დასუფთავება და გარემოს დაცვა;
- განათლება;
- კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობა და სპორტი;
- ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა;

წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსება (პროგრამული კოდი 01 00)

პროგრამის მიზანი:

წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების გამართული და ეფექტური მუშაობა.

პროგრამის აღწერა:

აღნიშნული ხარჯები უზრუნველყოფს სისტემის გამართულ მუშაობას მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და მუნიციპალიტეტის მერიაში. ფინანსდება მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდი, კადრების მომზადება-გადამზადებასთან დაკავშირებული ხარჯები,

პრიორიტეტი:

1. ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია (პროგრამული კოდი 02 00);

მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარებისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს მუნიციპალური ინფრასტრუქტურის შემდგომი გაუმჯობესება. აღნიშნული მიმართულება ბიუჯეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. პრიორიტეტის ფარგლებში გაგრძელდება საგზაო



ინფრასტრუქტურის მოწესრიგება, მგზავრთა ტრანსპორტირება, გარე განათებისა და ელექტროგადამცემი ქსელების, წყალმომარაგებისა და კანალიზაციის მშენებლობა-რეაბილიტაცია. განხორციელდება კეთილმოწყობითი ღონისძიებები, მუნიციპალური შენობების მშენებლობა-რეაბილიტაცია, ასევე არსებული ინფრასტრუქტურის მოვლა-შენახვა და მის ექსპლოატაციასთან დაკავშირებული ხარჯების დაფინანსება.

1. საგზაო ინფრასტრუქტურა, მშენებლობა რეაბილიტაცია და მოვლა შენახვა (პროგრამული კოდი 02 0 1)

პროგრამის მიზანი:

საგზაო ინფრასტრუქტურის მდგომარეობის გაუმჯობესება და სრულყოფა. გზის გამტარუნარიანობისა და საგზაო უსაფრთხოების გაზრდა, მგზავრთა ტრანსპორტირება, მგზავრობის დროის შემცირება და კომფორტული მომსახურება.

პროგრამის აღწერა:

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება საგზაო ინფრასტრუქტურის მოწესრიგება და მოიალაღეთა უფასო ტრანსპორტირება, კერძოდ:

- მუნიციპალიტეტში შიდა გადაადგილების ტრანსპორტით მომსახურება (პროგრამული კოდი 02 0 1 01);

ქვეპროგრამის მიზანი:

მუნიციპალიტეტში ფერმერული მეურნეობების (მეცხოველეობის) განვითარების ხელშეწყობა. ალპური რესურსების გამოყენება მეცხოველეობის პროდუქტების წარმოებაში.

ქვეპროგრამის აღწერა:

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება მგზავრთა უფასო ტრანსპორტით მომსახურება სამთო იალაღებზე იმ პერიოდში, როცა ა(ა)იპ ხულოს ავტოსერვისი, არ ახორციელებს აღნიშნულ მომსახურებას (ა(ა)იპ ხულოს ავტოსერვისი ადრე გაზაფხულზე და გვიან შემოდგომაზე არ ახორციელებს მგზავრთა მომსახურებას სამთო იალაღებზე). მომსახურება ხორციელდება კურორტ ბეშუმის, მთა ზორტიყელის, მთა ლეკნარის, მთა სარიჩაირის, მთა თეთრობის, მთა ლოდიდირის, მთა ჯანჯღნარის, ნათელათი, კუნჭულეთი, ქვაბიჯვარი, ჩიბუხნარი, ვაშლოვანის მთის, დიდაჭარის მთის, ხიხამირის მთის, ვერნების მთის და მაჭარელათის მთის მიმართულებით. ასევე განხორციელდება ხულო-თაგო თაგო-ხულოს მიმართულებით მგზავრთა გადაადგილება. ქვეპროგრამა ითვალისწინებს შედგენილი გრაფიკის მიხედვით მარშრუტს მთების შესაბამისად.

- დაბა ხულო-თაგოს საბაგრო გზის სადგურებს შორის არსებული ელექტროგადამცემი ხაზის რეაბილიტაცია (პროგრამული კოდი 02 01 02);

ქვეპროგრამის მიზანი:

მოსახლეობისათვის ხელმისაწვდომი და მოსახერხებელი საბაგრო გზის შექმნა.

ქვეპროგრამის აღწერა:

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება ხულო-თაგოს ბაგირგზის ელექტროსადგურებს შორის არსებული ხაზის რეაბილიტაცია, რაც უზრუნველყოფს ბაგირგზის შეუფერხებელ მუშაობას.

- სოფელ ირემადეებში 2008 წლის რუსეთ საქართველოს ომში დაღუპული მერაბ ჭელიძის სასაფლაოს მიმართულებით ბილიკის მოწყობა (პროგრამული კოდი 02 01 04);

ქვეპროგრამის მიზანი:



ცალკეულ უბნებში გზებისა და ბილიკების მოწყობა.

ქვეპროგრამის აღწერა:

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება სოფელ ირემაძეებში 2008 წლის რუსეთ საქართველოს ომში დაღუპული მერაბ ჭელიძის სასაფლაოსთან მისასვლელი ბილიკის მოწყობა.

- ავტობუსების შესყიდვა (ორი ერთეული) (პროგრამული კოდი 02 01 08);

ქვეპროგრამის მიზანი:

მუნიციპალური ავტობუსების შეძენა.

ქვეპროგრამის აღწერა:

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება ორი ერთეული მუნიციპალური ავტობუსების შეძენა, რომლითაც განხორციელდება ბათუმი-ხულოს მიმართულებით მგზავრთა გადაყვანა. აღნიშნული ღონისძიება მომდინარეობს 2023 წლიდან. ღირებულების ნაწილი ანაზღაურებულია 2023 წელს, ხოლო დარჩენილი თანხის ნაწილი ანაზღაურდება 2024 წელს.

- მუნიციპალიტეტის შიდა სასოფლო გზების პრობლემატური მონაკვეთების მოსაწყობად მზა ბეტონის შესყიდვა (პროგრამული კოდი 02 01 09);

ქვეპროგრამის მიზანი:

ცალკეულ უბნებში გზების და ქუჩების რეაბილიტაცია, ბეტონის საფარის დაგება.

ქვეპროგრამის აღწერა:

მუნიციპალიტეტში არის შიდა სასოფლო გზებზე ისეთი მონაკვეთები, სადაც ავტომანქანით მისვლა ჭირს და მოსახლეობას ხშირად უხდებიათ ფეხით გადაადგილება და ტვირთის ხელით გადაზიდვა. პრობლემის ნაწილობრივ მოსაგვარებლად იქ, სადაც უფრო მეტად პრობლემატური მონაკვეთებია დაგეგმილია ბეტონის საფარის მოწყობა, რომელიც მოიცავს მუნიციპალიტეტში არსებულ თითქმის ყველა სოფელს. დაგეგმილია დაახლოებით 3900 კუბური მეტრის სასაქონლო ბეტონის შეტანა სხვადასხვა სოფლებში, რომლითაც მოეწყობა 39000 კვ.მ გზა.

- ა(ა)იპ ხულო-თაგოს ბაგირგზა (პროგრამული კოდი 02 01 10);

ქვეპროგრამის მიზანი:

მოსახლეობისათვის ხელმისაწვდომი და მოსახერხებელი საბაგირო გზის შექმნა.

ქვეპროგრამის აღწერა:

ხულოს მუნიციპალიტეტი გამოირჩევა თავისი რთული რელიეფური მდებარეობით, მათ შორის განსაკუთრებით დიდ სირთულეს წარმოადგენს სოფელ თაგოს მოსახლეობისათვის დაბა ხულოსთან დამაკავშირებელი გზით სარგებლობა, რამაც შექმნა „ხულო-თაგო“-ს სატვირთო-სამგზავრო ბაგირგზის არსებობის აუცილებლობა. აღნიშნული ტრანსპორტი სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია სოფელ თაგოს მოსახლეობისათვის. ეს არის სოფლის მოსახლეობისათვის ყველაზე უფრო მარტივი და ძირითადი დამაკავშირებელი ტრანსპორტი მუნიციპალიტეტთან. ბაგირგზით სარგებლობს მუნიციპალიტეტის მოსახლეობაც, აგრეთვე დიდ მოწონებას და ინტერესს იწვევს ტურისტულ ჯგუფებში. ბაგირგზის ექსპლოატაციას და ობიექტის გამართულ მუშაობას უზრუნველყოფს ა(ა)იპ „ხულო-თაგო“ ბაგირგზა. ბაგირგზის არასაკმარისი შემოსავლების გამო მის ფუნქციონირებას ფინანსურად უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტი.

- ოთხი ერთეული სპეციალური ტექნიკის შეძენა (პროგრამული კოდი 02 01 11);



ქვეპროგრამის მიზანი:

სპეციალური ტექნიკის შეძენა.

ქვეპროგრამის აღწერა:

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება ოთხი ერთეული სპეციალური ტექნიკის შეძენა (ტრაქტორი, მძიმე ტექნიკის გადამყვანი ავტომანქანა, ამწეკალათა და თვითმცვლელი). აღნიშნული ტექნიკა საჭიროების შემთხვევაში მოემსახურება მუნიციპალიტეტს. აღნიშნული ღონისძიება მომდინარეობს 2023 წლიდან. ღირებულების ნაწილი ანაზღაურებულია 2023 წელს, ხოლო დარჩენილი თანხის ნაწილი ანაზღაურდება 2024 წელს.

- შპს ხულოს ტრანსპორტი (პროგრამული კოდი 02 01 12);

ქვეპროგრამის მიზანი:

მოსახლეობისათვის ხელმისაწვდომი და მოსახერხებელი საზოგადოებრივი ტრანსპორტით მომსახურება.

ქვეპროგრამის აღწერა:

ხულოს მუნიციპალიტეტი გამოირჩევა თავისი რთული რელიეფური მდებარეობით, მათ შორის განსაკუთრებით დიდ სირთულეს წარმოადგენს სოფელ თავოს მოსახლეობისათვის დაბა ხულოსთან დამაკავშირებელი გზით სარგებლობა, რამაც შექმნა „ხულო-თავო“-ს სატვირთო-სამგზავრო ბაგირგზის არსებობის აუცილებლობა და მისი ფუნქციონირება. ასევე განხორციელდება ავტობულებით მგზავრთა გადაყვანა ხულო-ბათუმის, ბათუმი-ხულოს მიმართულებით შეღავათიან ფასად.

1.2 კომუნალური ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია (პროგრამული კოდი 02 02)

პროგრამის მიზანი:

მუნიციპალიტეტში მდგრადი კომუნალური ინფრასტრუქტურის შექმნა და განვითარება.

პროგრამის აღწერა:

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება გარე განათებისა და ელექტროგადამცემი ქსელების მოწყობა-რეაბილიტაცია, წყლისა და კანალიზაციის სისტემების მშენებლობა-რეაბილიტაცია, საპროექტო-საკადასტრო სამუშაოები, სხვადასხვა ინფრასტრუქტურული ობიექტების მიმდინარე შეკეთების სამუშაოები.

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება შემდეგი ქვეპროგრამები:

- გარე განათებისა და ელექტროგადამცემი ქსელების მოწყობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია (პროგრამული კოდი 02 02 02);

ქვეპროგრამის მიზანი:

მუნიციპალიტეტში გარე განათებისა და ელექტროგადამცემი ქსელის გამართული მუშაობა.

ქვეპროგრამის აღწერა:

აღნიშნული ქვეპროგრამით ხორციელდება მუნიციპალიტეტის სოფლებში არსებული გარე განათების ქსელის მიერ მოხმარებული ელექტრო ენერჯის ხარჯის უზრუნველყოფა (ფინანსდება აჭარის ა.რ. რესპუბლიკური ბიუჯეტიდან მიღებული სპეციალური ტრანსფერის ფარგლებში), რომელიც შედგება 8996-მდე წერტილისაგან სულ 84 დასახლებულ პუნქტში. ასევე განხორციელდება იმ დარჩენილი მუნიციპალური ობიექტების გამრიცხველიანება, რომლებიც ჯერ კიდევ არ არის ელექტრო ენერჯით



უზრუნველყოფილი.

- ა(ა)იპ ხულოს წყალკანალი (პროგრამული კოდი 02 02 03);

ქვეპროგრამის მიზანი:

წყალმომარაგების მომსახურების გაუმჯობესება. წყლისა და საკანალიზაციო სისტემების ფუნქციონირება და გამართული მუშაობის უზრუნველყოფა.

ქვეპროგრამის აღწერა:

მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ მთავარ მიმართულებას წარმოადგენს მოსახლეობის ხარისხიანი სასმელი წყლით უზრუნველყოფა. ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსება გაეწევა ა(ა)იპ „ხულოს წყალკანალი“-ს, რომელიც უზრუნველყოფს დაბისა და სოფლების წყალსადენების სათავე-ნაგებობების და მაგისტრალური ქსელის მოვლა-შენახვას, ქლორირებასა და ფილტრაციას. მუნიციპალიტეტში სულ ფუნქციონირებს 30 წყალსადენი. ასევე ახორციელებს დაბის ტერიტორიაზე არსებული საკანალიზაციო სისტემის მოვლა-შენახვას.

- წყალსადენების მშენებლობა-რეაბილიტაცია (პროგრამული კოდი 02 02 04);

ქვეპროგრამის მიზანი:

მოსახლეობისათვის წყალმომარაგების მომსახურების გაუმჯობესება. წყლის სისტემების ფუნქციონირება და გამართული მუშაობის უზრუნველყოფა.

ქვეპროგრამის აღწერა:

დღეის მდგომარეობით მუნიციპალიტეტში არსებობს სოფლები, სადაც ჭირს მოსახლეობის სასმელი წყლით სრულად მომარაგება, რისთვისაც აუცილებელია აღნიშნული პრობლემის დროულად მოგვარება. ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება სოფელ წაბლიანში სასმელი წყლის შიდა გამანაწილებელი ქსელის მოწყობა, სოფელ ფუშრუკაულის სასმელი წყლის სისტემის რეაბილიტაცია, სოფელ ბელეთის, გელაძეების, კორტოხისა და პაქსაძეების სასმელი წყლის მაგისტრალის რეაბილიტაცია, სოფელ შურმულში სასმელი წყლის სისტემის რეაბილიტაცია, სოფელ კვატიაში წყალსადენის სისტემის მოწყობა, სოფელ ჭერში სასმელი წყლის სისტემის რემონტი, სოფელ ღორჯომში სასმელი წყლის სისტემის რემონტი, სოფელ ხიხაძირში ერდო, კვახური, სართმავლის უბნის სასმელი წყლის სისტემის მოწყობა, სოფელ ტუნაძეების სასმელი წყლის სისტემის სათავე ნაგებობის და სალექარის მოწყობა, სოფელ ადაძეების სასმელი წყლის სისტემის რემონტი, სოფელ ძმაგულის სასმელი წყლის სისტემის რემონტი, კურორტ ბეშუმის წყალსადენის ღმანის მაგისტრალის რეაბილიტაცია და სოფელ გუდასახოს წყალსადენის სისტემის რეაბილიტაცია. აღნიშნული ღონისძიებების განხორციელების შემდეგ აქ არსებული მოსახლეობა მომარაგდება უწყვეტი სასმელი წყლით.

- საპროექტო, საკადასტრო აზომვები, საექსპერტო მომსახურება და ესკიზური ნახაზები (პროგრამული კოდი 02 02 05);

ქვეპროგრამის მიზანი:

საპროექტო, საკადასტრო და ესკიზური ნახაზების მომზადება, ქონების აღრიცხვასთან დაკავშირებული საჭირო პროცედურების ჩატარება.

ქვეპროგრამის აღწერა:

ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია მუნიციპალიტეტის საკუთრებაში დასარეგისტრირებელი შენობა-ნაგებობების და მიწის ნაკვეთების საკადასტრო აზომვითი სამუშაოების განხორციელება, ქონების შეფასებასთან დაკავშირებული ხარჯები და ესკიზური ნახაზების შედგენა.

- საპროექტო მომსახურების შესყიდვა (პროგრამული კოდი 02 02 06);



ქვეპროგრამის მიზანი:

ინფრასტრუქტურული პროექტების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება.

ქვეპროგრამის აღწერა:

ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია მიმდინარე და შემდგომი წლების პრიორიტეტული ღონისძიებების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება.

- **სანიაღვრე და საკანალიზაციო სისტემის მოწყობა-რეაბილიტაცია (პროგრამული კოდი 02 02 07);**

ქვეპროგრამის მიზანი:

გამართული სანიაღვრე სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს საგზაო ინფრასტრუქტურის დაცვას და მოვარდნილი ჭარბი წყლების გატარებას.

ქვეპროგრამის აღწერა:

ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია სანიაღვრე არხებისა და წყალგამტარების მოწყობა მუნიციპალიტეტის სხვადასხვა სოფლებში შიდა გზების იმ მონაკვეთებზე, სადაც წვიმისა და თოვლის დნობის შედეგად ხშირად ზიანდება გზის სავალი ნაწილი, რაც შემდგომ აფერხებს მოსახლეობის, როგორც ავტომანქანით, ასევე ფეხით გადაადგილების შესაძლებლობას. აღნიშნული ქვეპროგრამის განხორციელების შემდეგ გზის სავალი ნაწილი დაცული იქნება დაზიანებისაგან და მოსახლეობას მიეცემა შეუფერხებელი გადაადგილების საშუალება. ქვეპროგრამით განხორციელდება მუნიციპალიტეტის სხვადასხვა სოფლებში ღია და დახურული ტიპის სანიაღვრე არხების და წყალგამტარი მილების (მილხიდი) მოწყობა დაახლოებით 700 გრძივ მეტრზე.

ასევე განხორციელდეს სოფელ ღორჯომში საკანალიზაციო ქსელის მოწყობის სამუშაოები.

- **ინფრასტრუქტურის ობიექტების მოვლა-შენახვა (პროგრამული კოდი 02 02 08);**

ქვეპროგრამის მიზანი:

მუნიციპალიტეტში არსებული ინფრასტრუქტურული ობიექტების მოვლა-შენახვა და მიმდინარე რემონტი.

ქვეპროგრამის აღწერა:

დაგეგმილი სამუშაოებით გათვალისწინებულია სიძველის გამო, ზამთრის შედეგად ან/და სხვა მიზეზებით სხვადასხვა ინფრასტრუქტურულ ობიექტებზე და მის მიმდებარე ტერიტორიებზე წარმოქმნილი დაზიანებების აღმოფხვრა. სამუშაოები ითვალისწინებს ინფრასტრუქტურული ობიექტების აღდგენა-შეკეთებას. სულ განხორციელდება 2 ერთეულამდე სხვადასხვა სახის ინფრასტრუქტურული ობიექტების აღდგენა-შეკეთება.

1.3 კეთილმოწყობის ღონისძიებები (პროგრამული კოდი 02 03)

პროგრამის მიზანი:

მუნიციპალიტეტისათვის მნიშვნელოვანი და აუცილებელია კეთილმოწყობის ღონისძიებების სრულყოფილად და ეფექტურად განხორციელება.

პროგრამის აღწერა:

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სკვერების, ქუჩებისა და ფასადების მოწყობა, ასევე მუნიციპალური ობიექტების მშენებლობა-რეაბილიტაცია.

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება შემდეგი ქვეპროგრამები:



- მუნიციპალიტეტში სკვერების, ქუჩებისა და ფასადების მოწყობა (პროგრამული კოდი 02 03 01);

ქვეპროგრამის მიზანი:

მუნიციპალიტეტში არსებული პრობლემატური უბნების (სკვერები, ქუჩები ფასადები) გამაგრება-რეაბილიტაცია.

ქვეპროგრამის აღწერა:

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება ფერდსამაგრი სამუშაოები იმ უბნებში სადაც ყველაზე უფრო მეტად იქმნება მეწყრული პროცესების საშიშროება. სულ განხორციელდება დაახლოებით 30-35 ლოკაციაზე ფერდსამაგრი სამუშაო.

დაგეგმილია ხიხადირის ცენტრის კეთილმოწყობის სამუშაოები, ხულოს მუნიციპალიტეტის ტბელ აზუსერიძის ქუჩაზე მდებარე სკვერების რეაბილიტაციისა და სკვერების მიმდებარედ განთავსებული საზოგადოებრივი დანიშნულების შენობა-ნაგებობების ფასადების კეთილმოწყობა და ღორჯომის ცენტრის კეთილმოწყობის სამუშაოები.

მუნიციპალური შენობა-ნაგებობის მშენებლობა-რეაბილიტაცია (პროგრამული კოდი 02 03 02);

ქვეპროგრამის მიზანი:

ახალი და არსებული მუნიციპალური შენობა-ნაგებობების მშენებლობა, რეკონსტრუქცია-რემონტი.

ქვეპროგრამის აღწერა:

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება ხულოს მუნიციპალიტეტის მერიის და საკრებულოს შენობის სარემონტო-სარეკონსტრუქციო სამუშაოები, სოფელ ჩაოში ახალგაზრდული ცენტრის შენობის მშენებლობა, სოფელ ზემო თხილვანაში ადმინისტრაციული შენობის და სპორტული დარბაზის მშენებლობა, სოფელ ტუნაძეებში ახალგაზრდობის ცენტრის მშენებლობა, სოფელ მანიაკეთში ახალგაზრდული ცენტრის შენობის მშენებლობა, სოფელ დიოკნისის ადმინისტრაციული შენობის მშენებლობა, დაბა ხულოში სახელოვნებო სკოლის და სამხატვრო გალერეის მშენებლობა, სოფელ კვატიაში სოფლის სახლის მშენებლობა, სოფელ თაგოში ახალგაზრდული ცენტრის შენობის მშენებლობა, სოფელ ვერნებში მალხაზ აბაშიძის სახელობის მემორიალის მოწყობა, სოფელ ჩაოში კოტიჯვარის მიმდებარე ტერიტორიაზე ავტოსადგომის და სველი წერტილის მოწყობა, ხულო-თაგოს ბაგირგზის კაბინის რეაბილიტაციის სამუშაოების შესყიდვა, თხილაძირის სოფლის სახლის რეკონსტრუქცია, რეაბილიტაცია, ქედლების სოფლის სახლის რემონტი და სოფელ რაქვთაში საპირფარეოს მშენებლობა.

ასევე განხორციელდება სოფელ იაკობაძეებში სოფლის სახლის მშენებლობა, რომელიც დაფინანსდება შპს „აჭარისწყალი ჯორჯია“-საგან გამოყოფილი გრანტით.

პრიორიტეტი:

2.დასუფთავება და გარემოს დაცვა (პროგრამული კოდი 03 00)

მუნიციპალიტეტის ეკოლოგიური მდგომარეობის შენარჩუნება და გაუმჯობესება ქვეყნის ერთერთი ძირითადი მიმართულებაა. შესაბამისად ჩვენი მიზანია მუნიციპალიტეტში ყველა გადაწყვეტილებების მიღება ხდებოდეს ეკონომიკური მიზანშეწონილობასთან ერთად ეკოლოგიური ეფექტიანობის გათვალისწინებით. ამ მიზნის მისაღწევად საჭიროა ყურადღება მიექცეს ისეთი პროგრამების განხორციელებას როგორცაა გარემოს დასუფთავება, ნარჩენების შეგროვება და გატანა, მიუსაფარი ცხოველებისაგან მოსახლეობის დაცვა და სხვა.

2. სანიტარული დასუფთავება (პროგრამული კოდი 03 01);



ქვეპროგრამის მიზანი:

მუნიციპალიტეტში ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესება და შენარჩუნება.

ქვეპროგრამის აღწერა:

მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ მთავარ ფუნქციას წარმოადგენს კეთილსაიმედო და ეკოლოგიურად სუფთა სანიტარული მდგომარეობის უზრუნველყოფა. შესაბამისად პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ერთეულის სოფლებიდან საყოფაცხოვრებო ნარჩენების გამოტანა, შეგროვება, ასევე დაბა ხულოს ტერიტორიაზე არსებული საყოფაცხოვრებო ნარჩენების შეგროვება და გატანა ქალაქ ბათუმში ლეგალურ ნაგავლაყრელზე. ასევე განხორციელდება მიუსაფარი ცხოველების გაუვნებლობა.

- მიუსაფარი ცხოველების გაუვნებლობა (პროგრამული კოდი 03 01 03);

ქვეპროგრამის მიზანი:

მიუსაფარი და მაწანწალა ცხოველებისაგან მოსახლეობის დაცვა.

ქვეპროგრამის აღწერა:

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მიუსაფარი და მაწანწალა ცხოველების რაოდენობა ბოლო წლებში მატულობს, რაც საშიში დაავადებების გავრცელების საფრთხეს ქმნის. ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება მიუსაფარი ცხოველების მზრუნველობა და საჭიროების შემთხვევაში გადაყვანა ქალაქ ბათუმში უპატრონო და მაწანწალა ცხოველთა თავშესაფარში, რათა ჩაუტარდეთ შესაბამისი ვაქცინაცია და სხვა საჭირო პროცედურები, რითაც უზრუნველყოფილი იქნება შესაძლო საფრთხეების თავიდან აცილება. წლის განმავლობაში განხორციელდება დაახლოებით 120 ერთეულ ცხოველზე შესაბამისი მომსახურეობის გაწევა.

ასევე დაგეგმილია ნადირის გასაფრთხობად ვაზნების შექმნა.

- ა(ა)იპ ხულოს მუნიციპალური სერვისი (პროგრამული კოდი 03 02);

ქვეპროგრამის მიზანი:

მუნიციპალური სერვისების გამართული ფუნქციონირება, დაბის ქუჩების დაგვა-დასუფთავება, ნარჩენების გატანა, გარე-განათების მოვლა-პატრონობა, საზოგადოებრივი საპირფარეშოების მოვლა პატრონობა, გზის გაწმენდა ჩამოშლილი მეწყერისა და თოვლის საფარისაგან და სხა.

ქვეპროგრამის აღწერა:

ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსება გაეწევა ა(ა)იპ „ხულოს მუნიციპალური სერვისი“-ს, რომელიც ახორციელებს დაბის ქუჩების ყოველდღიურ დაგვა-დასუფთავებას, სულ 38000 კვ/მ-ზე მეტ ფართობზე. ხორციელდება მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ერთეულებიდან საყოფაცხოვრებო ნარჩენების გამოტანა სულ 12 ადმინისტრაციული ერთეული, 76 სოფელი, მათ შორის: რიყეთი, დანისპარაული, შუასოფელი, დიდი რიყეთი, ბოძაური, დიოკნისი, ტაბახმელა, ჯვარიქეთი, ბელეთი, კორტოხი, პაქსაძეები, გელაძეები, ლურტა, იაკობაძეები, ღორჯომელაძეები, ღორჯომი, გორგამეები, მინთამეები, ადაძეები, მეკვიძეები, ვანაძეები, ვაშაყმაძეები, მეხალაშვილები, ტუნაძეები, ქურდული, ახალი უბანი, სტეფანაშვილები, წინწკალაშვილები, მერჩხეთი, ჭახაური, ლაბაიძეები, აგარა, საციხური, ნამონასტრევი, გელაურა, პანტნარი, დიდაჭარა, ირემაძეები, ბოლაური, გობაძეები, დეკანაშვილები, ზედა დეკანაშვილები, ქედლები, თხილაძირი, განახლება, ელელიძეები, ძირკვაძეები, დიაკონიძეები, უჩხო, გუდასახო, დუაძეები, ოქრუაშვილები, ქვემო ვაშლოვანი, ზედა ვაშლოვანი, შურმული, ჩაო, ყინჩაური, ჭერი, ძმაგულა, გურძაული, ფაჩხა, წაბლანა, წაბლიანი, კვატია, ფუმრუკაული, რაქვთა, ვერნები, ხიხაძირი, ახალშენი, სკვანა, კალოთა, ნადაბური, ზედა თხილვანა, ქვედა თხილვანა, ბაკო, მთისუბანი.

დღე-ღამის განმავლობაში მოსახლეობის კომფორტული და უსაფრთხო გადაადგილებისათვის



აუცილებელ პირობას წარმოადგენს ქუჩების განათება, რის უზრუნველსაყოფად ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდება ა(ა)იპ „ხულოს მუნიციპალური სერვისი“, რომელიც უზრუნველყოფს გარე განათების არსებული ქსელის მოვლა-შენახვას. სულ 13 ადმინისტრაციულ ერთეულში, სადაც მთლიანობაში განთავსებულია 8646 გარე განათების ბოძი.

ასევე განახორციელებს დაბასა და ადმინისტრაციული ერთეულებში არსებული საზოგადოებრივი სარგებლობის საპირფარეშოების (სულ 14 ერთეული) პერიოდულ დასუფთავებას და მოვლა-პატრონობას. ხორციელდება ზამთრის პერიოდში გზების, ქუჩების და სკვერების გაწმენდა თოვლის საფარისაგან.

- სპეციალური ტექნიკის შეძენა (ერთი ერთეული ნაგავმზიდი) (პროგრამული კოდი 03 03);

ქვეპროგრამის მიზანი:

მუნიციპალური სერვისების გამართული ფუნქციონირება, ნარჩენების დროული გამოტანა ადმინისტრაციული ერთეულებიდან.

ქვეპროგრამის აღწერა:

ქვეპროგრამით განხორციელდება ერთი ერთეული სპეციალური ტექნიკის შეძენა (ნაგავმზიდი ავტომანქანა). აღნიშნული ღონისძიება მომდინარეობს 2023 წლიდან. ღირებულების ნაწილი ანაზღაურებულია 2023 წელს, ხოლო დარჩენილი თანხის ნაწილი ანაზღაურდება 2024 წელს.

- საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურისათვის სპეციალური ავტოსატრანსპორტო საშუალების შეძენა (პროგრამული კოდი 03 04);

ქვეპროგრამის მიზანი:

მუნიციპალიტეტში სახანძრის დროული ლოკალიზება.

ქვეპროგრამის აღწერა:

ქვეპროგრამით განხორციელდება ერთი ერთეული სპეციალური ტექნიკის შეძენა, რომელიც მოგვცემს საშუალებას უფრო დროულად და ეფექტურად განხორციელდეს ხანძრის ლოკალიზება.

პრიორიტეტი:

3.განათლება (პროგრამული კოდი 04 00)

მომავალი თაობების აღზრდის მიმართულებით დაწყებითი და ზოგადი განათლების გარდა მნიშვნელოვანი როლი ენიჭება სკოლამდელ განათლებას, რაც თვითმმართველი ერთეულის საკუთარ უფლებამოსილებებს განეკუთვნება და შესაბამისად მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს. პრიორიტეტის ფარგლებშიც განხორციელდება საბავშვო ბაღების მშენებლობა-რეაბილიტაცია და არსებული ბაღების ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსება.

3.1 სკოლამდელი დაწესებულების ფუნქციონირება (პროგრამული კოდი 04 01)

პროგრამის მიზანი:

სკოლამდელი ასაკი ბავშვების სკოლისთვის მზაობა.

პროგრამის აღწერა:

ძლიერი და მდგრადი სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სისტემის უზრუნველყოფა ხულოს მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრიორიტეტს წარმოადგენს. სკოლამდელი განათლება ბავშვის აკადემიური და სოციალური განვითარების უმნიშვნელოვანესი საფეხურია. სკოლისათვის და შემდგომი ცხოვრებისათვის მზაობის ხელშეწყობა მრავალმხრივი პროცესია და სკოლამდელი



განათლება ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინებით ბავშვის სრულფასოვნად ჩამოყალიბების მყარ საფუძველს წარმოადგენს. სააღმზრდელო პროცესის ხარისხიანად მიწოდება მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მუდმივ განახლებას მოითხოვს, რისთვისაც მუნიციპალიტეტი საბავშვო ბაღების გაერთიანებას უზრუნველყოფს შესაბამისი ფინანსური რესურსით. არსებული სიტუაციის ანალიზიდან და მოსახლეობის საჭიროებებიდან გამომდინარე ხულოს მუნიციპალიტეტისათვის მნიშვნელოვანია სახელმწიფო სტანდარტების შესაბამისი, საყოველთაოდ და თანაბრად ხელმისაწვდომი სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მომსახურების მიწოდების უზრუნველყოფა მოსახლეობისთვის.

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება შემდეგი ქვეპროგრამები:

- ა(ა)იპ ხულოს მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანება (პროგრამული კოდი 04 01 01);

ქვეპროგრამის მიზანი:

სახელმწიფო სტანდარტების შესაბამისი სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მომსახურების მიწოდების უზრუნველყოფა.

ქვეპროგრამის აღწერა:

მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს ა(ა)იპ ხულოს მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანება, რომელიც აერთიანებს ერთ ბაგა-ბაღს და 23 საბავშვო ბაღს, სადაც განათლებას იღებს 750-მდე სკოლამდელი აღსაზრდელი ბავშვი. მუნიციპალიტეტი სრულად აფინანსებს ბაღების ფუნქციონირებასთან დაკავშირებულ ყველა ხარჯს, უზრუნველყოფს სხვადასხვა ინვენტარით და ტექნიკით, რათა ბავშვებს მიეცეთ ნორმალური და სრულყოფილი განვითარების საშუალება. ასევე მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს 4 ალტერნატიული საბავშვო ბაღი - სოფელ თაგოში, გელაძეებში, აგარაში და წაბლანაში, რომლისთვისაც მუნიციპალიტეტი ახორციელებს შრომის ანაზღაურებისა და გათბობის ხარჯების დაფინანსებას.

- სკოლამდელი დაწესებულების რეაბილიტაცია, მშენებლობა (პროგრამული კოდი 04 02);

ქვეპროგრამის მიზანი:

სახელმწიფო სტანდარტების შესაბამისი სკოლამდელი დაწესებულების ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია.

ქვეპროგრამის აღწერა:

ქვეპროგრამა ითვალისწინებს სოფელ წაბლანაში საბავშვო ბაღის მშენებლობას და მუნიციპალიტეტში არსებული საბავშვო ბაღების სარემონტო სამუშაოებს. შედეგად ბავშვებს მიეცემათ საშუალება სრულყოფილ და კომფორტულ გარემოში მიიღონ სკოლამდელი განათლება.

- სკოლების მშენებლობა-რემონტი (პროგრამული კოდი 04 03);

ქვეპროგრამის მიზანი:

დაწყებითი საბაზო განათლებისათვის საჭირო დაწესებულების ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია.

ქვეპროგრამის აღწერა:

ქვეპროგრამა ითვალისწინებს შუასოფელის დაწყებითი სკოლის მშენებლობას. არსებული ინფრასტრუქტურა სრულად მოშლილია და ვერ ხერხდება სასწავლო-სააღმზრდელო პროცესის სრულყოფილად წარმართვა, რამაც შექმნა საჭიროება აღნიშნულ სოფელში აშენდეს ახალი დაწყებითი სკოლა. შესაბამისად ბავშვებს მიეცემათ საშუალება სრულყოფილ და კომფორტულ გარემოში მიიღონ საბაზო განათლება.

პრიორიტეტი:



4. კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობა და სპორტი (პროგრამული კოდი 05 00)

მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურული და ეკონომიკური განვითარების პარალელურად აუცილებელია ხელი შეეწყოს კულტურული და სპორტული ტრადიციების დაცვას და ღირსეულ გაგრძელებას. ამასთანავე ერთ-ერთი პრიორიტეტია ახალგაზრდობის მრავალმხრივი (როგორც სულიერი, ისე ფიზიკური თვალსაზრისით) განვითარების ხელშეწყობა და მათში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება. შესაბამისად მუნიციპალიტეტი განაგრძობს კულტურული ობიექტების ფინანსურ მხარდაჭერას, წარმატებულ ხელოვანთა და სპორტსმენტთა ხელშეწყობას, წახალისებას და შესაბამისი პირობების შექმნას, რათა მათ მოახერხონ საკუთარი შესაძლებლობების გამოვლენა.

4.1 სპორტის სფეროს განვითარება (პროგრამული კოდი 05 01)

პროგრამის მიზანი:

ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება, მისი პოპულარიზაცია და სპორტული მიღწევების გაუმჯობესება.

პროგრამის აღწერა:

ხულოს მუნიციპალიტეტი გამორჩეულია სპორტის სფეროში მიღწეული წარმატებებითა და შედეგებით, რაზეც ნათლად მეტყველებს ხულოს მუნიციპალიტეტის ახალგაზრდობის მიერ მიღწეული არა ერთი გამარჯვება სპორტის სხვადასხვა სფეროში. მიუხედავად ამისა ამ კუთხით აუცილებელია დამატებითი ღონისძიებების გატარება, რაც კიდევ უფრო ხელს შეუწყობს მიღწეული შედეგების გაუმჯობესებას. ასევე შესაძლებელს გახდის ბავშვთა და მოზარდთა მაქსიმალური რაოდენობის ჩაბმას სისტემატიურ სპორტულ-გამაჯანსაღებელ აქტივობებში, ცხოვრების ჯანსაღი წესის პროპაგანდის და მის დამკვიდრებას მოზარდ თაობაში.

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება შემდეგი ქვეპროგრამები:

- ა(ა)იპ ხულოს კომპლექსური სასპორტო სკოლა (პროგრამული კოდი 05 01 01);

ქვეპროგრამის მიზანი:

სასპორტო სკოლის ინფრასტრუქტურის გამართული ფუნქციონირების უზრუნველყოფა და სკოლასთან არსებული სპორტული სექციების განვითარების ხელშეწყობა.

ქვეპროგრამის აღწერა:

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება სასპორტო სკოლის მიმდინარე ხარჯების დაფინანსება და სხვადასხვა სპორტული ინვენტარით აღჭურვა, რათა სპორტსმენტებს მიეცეთ საშუალება მაქსიმალურად გამოავლინონ თავიანთი შესაძლებლობები. განხორციელდება ნიჭიერი სპორტსმენტების წახალისება სხვადასხვა სახის საჩუქრებით. სასპორტო სკოლაში მოქმედებს 8 სექცია (ჭიდაობა, ძალოსნობა, კალათბურთი, ჩოგბურთი, სამთო-სათხილამურო, ჭადრაკი, ფრენბურთი, ფიზიკური მომზადება), სადაც სწავლება უფასოა და 380-მდე ბავშვია ჩართული სპორტის სხვადასხვა სახეობაში.

- ა(ა)იპ ხულოს საფეხბურთო კლუბი „ხიხანი“ (პროგრამული კოდი 05 01 02);

ქვეპროგრამის მიზანი:

ბავშვთა ფეხბურთის განვითარების ხელშეწყობა და პოპულარიზაცია.

ქვეპროგრამის აღწერა:

ქვეპროგრამა ითვალისწინებს ბავშვთა ფეხბურთის პოპულარიზაციასა და წარმოჩენას, ფეხბურთის განვითარების ხელშეწყობას, ნიჭიერი და პერსპექტიული ახალგაზრდა სპორტსმენტების გამოვლენასა და მომზადებას, რათა მათ შეიძლოთ თავისი შესაძლებლობების შეიმდგომი განვითარება. სწავლილება



უფასოა და 60-მდე ბავშვია ჩართული აღნიშნული სპორტული სახეობის განვითარებაში.

- **სპორტული ღონისძიებების მხარდაჭერა (პროგრამული კოდი 05 01 03);**

ქვეპროგრამის მიზანი:

სპორტის ცალკეული სახეობების პოპულარიზაცია და სპორტულ ღონისძიებებში მონაწილეობით ადგილობრივი სპორტსმენების ოსტატობის დონის ამაღლება.

ქვეპროგრამის აღწერა:

ქვეპროგრამა ითვალისწინებს სპორტული და მასობრივი გამაჯანსაღებელი მუშაობის გაუმჯობესებას, ახალგაზრდა თაობაში ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებას, სპორტის სხვადასხვა სახეობების შემდგომ განვითარებას და პოპულარიზაციას. მუნიციპალიტეტის სპორტსმენები მონაწილეობენ საქართველოს მამტაბით დაგეგმილ სპორტულ ღონისძიებებში, ტურნირებში. ხულოს მუნიციპალიტეტის ახალგაზრდებს განსაკუთრებული წარმატებები აქვთ ჭიდაობის სხვადასხვა სახეობაში, (არიან ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონები, ოლიმპიური პრიზიორი და საქართველოს ჩემპიონები სპორტის სხვადასხვა სახეობებში), ვითარდება სათხილამურო სპორტი და ძალოსნობის სხვადასხვა სახეობა. წარმატებული სპორტსმენების წახალისება ხდება სიგელებით, მედლებით, თასებით და ფულადი საჩუქრებით.

- **სპორტული ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია, მშენებლობა (პროგრამული კოდი 05 01 04);**

ქვეპროგრამის მიზანი:

მუნიციპალიტეტში სასპორტო ინფრასტრუქტურის განახლება და შექმნა.

ქვეპროგრამის აღწერა:

ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია ვაშლოვანის მთაში მინი სპორტული მოედნის მშენებლობა, მთა თეთრობში მინი სპორტული მოედნის მშენებლობა, სოფელ იაკობაძეების მინი სპორტული მოედნის რეაბილიტაცია, კურორტ ბეშუმში ორი ერთეული სპორტული მოედნის რეაბილიტაცია, სოფელ ირემაძეების სპორტული დარბაზის რეაბილიტაცია, სოფელ წაბლიანის მინი სპორტული მოედნის რეაბილიტაცია, სოფელ გელაურის მინი სპორტული მოედნის რეაბილიტაცია, სოფელ დიდაჭარაში ჭადრაკის სახლის მშენებლობა, სოფელ რიყეთის მინი სპორტული მოედნის რეაბილიტაცია და სოფელ ქედლებში სათხილამურო ბაზის შენობის რეაბილიტაცია. არსებული სიტუაციიდან გამომდინარე საჭირო გახდა აღნიშნული სპორტული მოედნების და სათხილამურო ბაზის რეაბილიტაცია/მშენებლობა, რათა მოზარდ-ახალგაზრდობას მიეცეს ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრების საშუალება.

4.2. კულტურის სფეროს განვითარება (პროგრამული კოდი 05 02)

პროგრამის მიზანი:

ხულოს მუნიციპალიტეტში კულტურული ცხოვრების გამრავალფეროვნება, კულტურული აქტივობების განვითარების ხელშეწყობა, ხელოვანთა შემოქმედებითი ზრდის ხელშეწყობა, ეროვნული ღონისძიებების პოპულარიზაცია, კულტურული მემკვიდრეობის ძეგლთა შენარჩუნება, დაცვა, პოპულარიზაცია და ცნობადობის ამაღლება. ასევე პროგრამის მიზანია კულტურის ობიექტების მშენებლობა, რეაბილიტაციის განხორციელება.

პროგრამის აღწერა:

პროგრამა ითვალისწინებს ჩვენი ქვეყნისა და კუთხის ტრადიციული დღესასწაულების მხარდაჭერას და პოპულარიზაციას, კულტურული ღონისძიებებისა და ფესტივალების ორგანიზებას. სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის დღეების პოპულარიზაციას და თავისუფლებისათვის მებრძოლ გმირთა პატივის მიგებას. შემოქმედებითი უნარების აღმოჩენასა და წახალისებას. ახალგაზრდების



ინტელექტუალური აზროვნების გამოვლენას, კულტურულ-შემოქმედებით საქმიანობაში ახალგაზრდების ჩართულობას, საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლებას და ინფორმირებას გენდერული თანასწორობის საკითხებში, შშმ პირების ინტეგრირებას საზოგადოებასთან. პროგრამა ასევე უზრუნველყოფს მოსწავლე-ახალგაზრდების მუსიკალურ-ვოკალურ-ქორეოგრაფიულ განათლებას, როგორც ფოლკლორის, ასევე კლასიკური და თანამედროვე მიმართულებით. ასევე განხორციელდება კულტურის ობიექტების რეაბილიტაცია.

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება შემდეგი ქვეპროგრამები:

- ა(ა)იპ ხულოს სახელოვნებო სკოლა (პროგრამული კოდი 05 02 01);

ქვეპროგრამის მიზანი:

მისცეს მოსწავლეებს სახელოვნებო განათლება, მოამზადოს მოსწავლეები სწავლის გასაგრძელებლად შემდგომ საფეხურზე სახელოვნებო განათლების მიღების მიზნით, ხელოვნების სხვადასხვა დარგებთან ზიარების თანაბარი პირობების შექმნით ხელი შეუწოს პიროვნების ინდივიდუალურ-შემოქმედებითი მიდრეკილების განვითარებას, კულტურული მემკვიდრეობის შესწავლას და ამ გზით მის შენარჩუნებას, გარე სამყაროს მხატვრული აღქმის უნარის ჩამოყალიბებას. განსაკუთრებული ნიჭით დაჯილდოვებული მოსწავლეების წარმოჩენა-გამოვლენა.

ქვეპროგრამის აღწერა:

ა(ა)იპ ხულოს სახელოვნებო სკოლაში საგანმანათლებლო პროგრამების ფარგლებში ბავშვები მიიღებიან 6 წლის ასაკიდან. სკოლაში არის ორი განყოფილება-სამუსიკო და სამხატვრო. მოსწავლეებს აქვთ შესაძლებლობა ინდივიდუალურად შეისწავლონ მათთვის სასურველ მუსიკალურ ინსტრუმენტზე დაკვრა - სალამური, დოლი, ფანდური, ბასფანდური, პიანინო, გიტარა და კლასიკური ფანდური. სწავლება 6 წლიანია. სკოლას ჰყავს ფოლკლორული ანსამბლი - „ციცინათელა“ და ანიმაციური ფილმების სტუდია. ასევე ხორციელდება სხვადასხვა კულტურული აქტივობების ორგანიზება, ქვეყნის ღირსშესანიშნავი თარიღების დღისადმი მიძღვნილ ღონისძიებებში მონაწილეობა. ადგილობრივი მოსახლეობისა თუ სტუმრებისათვის მრავალფეროვანი სანახაობის (კლასიკური მუსიკა, ფოლკლორი) შეთავაზება. მნიშვნელოვანია ა(ა)იპ ხულოს სახელოვნებო სკოლაში საშემსრულებლო კოლექტივების ხელშეწყობა-წახალისება (კომფორტული სამუშაო გარემოს შექმნა, გასტროლებში მონაწილეობა და სხვა მოტივაცია). სკოლაში სწავლობს 84 მოსწავლემდე.

- ა(ა)იპ ხულოს კულტურის ცენტრი (პროგრამული კოდი 05 02 02);

ქვეპროგრამის მიზანი:

კულტურული ღონისძიებების ორგანიზება, მუსიკალური და ქორეოგრაფიული ანსამბლების, სტრუქტურული ერთეულების სასოფლო კლუბებისა და კულტურის ცენტრების განვითარების ხელშეწყობა, ბიბლიოთეკების შეუფერხებელი ფუნქციონირება, კულტურულ-საგანმანათლებლო ღონისძიებები და მოსწავლე ახალგაზრდობის სასწავლო შემოქმედებითი პროცესის ორგანიზება, მონაწილეობა მუნიციპალურ, რეგიონულ და ტურისტულ ღონისძიებებში.

ქვეპროგრამის აღწერა:

ქვეპროგრამის ფარგლებში ხულოს კულტურის ცენტრთან არსებული მუსიკალური და ქორეოგრაფიული ანსამბლების მეშვეობით ხორციელდება სხვადასხვა კულტურული აქტივობების ორგანიზება, ღირსშესანიშნავი თარიღების აღნიშვნა. ასევე ხორციელდება ადგილობრივი მოსახლეობის, სტუმრებისა და ტურისტებისათვის მრავალფეროვანი სანახაობის შეთავაზება კულტურის ცენტრთან არსებული ქორეოგრაფიული და ფორკლორული ანსამბლების მეშვეობით. განსაკუთრებით დიდი მოწონებით სარებლობს ფორკლორული ანსამბლები „ბერმუხა“, „ხულო“, „ხიხანი“, „ვერნები“, „სხალთა“, „ვაშლოვანი“, „ღორჯომი“, ბავშთა ქორეოგრაფიული ანსამბლი „არგინეთი“, „საციხური“, მუსიკალური ჯგუფი „გოდერძი“, ვაჟთა მუსიკალური ბენდი „დიოკნისი“ და სხვა. მნიშვნელოვანია კულტურის ცენტრში გაერთიანებული საშემსრულებლო კოლექტივების ხელშეწყობა-წახალისება, მათთვის კომფორტული სამუშაო გარემოს შექმნა, კოსტიუმირება, გასტროლების დაგეგმვა და სხვა მოტივაცია. სახელოვნებო დარგის ახალგაზრდებთან მჭიდრო



შემოქმედებითი კონტაქტები. ღვაწლმოსილ მოქალაქეთა (კულტურის მუშაკების, პედაგოგების) განვლილი გზის განზოგადება და დაფასება (იუბილეები, შეხვედრები, ხსოვნისადმი მიძღვნილი ღონისძიებები და ა.შ.). ქართული კულტურის პოპულარიზაცია და ხულოს, როგორც ამ კულტურის ტრადიციის მატარებელი მაღალმთიანი მუნიციპალიტეტის გაცნობა ქვეყნის მამულებით და ქვეყნის გარეთ სხვადასხვა სახის ღონისძიებების უზრუნველყოფით. საბიბლიოთეკო განყოფილებისათვის ფონდების შევსება და მოქალაქეთა მომსახურება საბიბლიოთეკო ფონდებით. მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს 11 სასოფლო, 1 საჯარო და 1 საბავშვო ბიბლიოთეკა. ხულოს კულტურის ცენტრი უზრუნველყოფს მივიწყებული ხალხური რეწვის ტრადიციების შენარჩუნებას მოსწავლე ახალგაზრდობაში და მისი პოპულარიზაციის მიზნით მონაწილეობას ღებულობს სახალხო დღესასწაულებსა და ადგილობრივ კულტურულ ღონისძიებებში, ასევე ტურიზმის ხელშეწყობს საერთაშორისო ღონისძიებებში.

- **სსიპ ხულოს პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრი (პროგრამული კოდი 05 02 03);**

ქვეპროგრამის მიზანი:

ხულოს მუნიციპალიტეტში თეატრალური ცხოვრების დონის ამაღლება და წარმოჩენა.

ქვეპროგრამის აღწერა:

ხულოს პროფესიულ სახელმწიფო დრამატულ თეატრს არსებობის დიდი ხნის ისტორია აქვს, თუმცა მისი საკუთარი შემოსავლები იმდენად მცირეა, რომ შეუძლებელია მისი დამოუკიდებლად ფუნქციონირება, ამიტომ მუნიციპალიტეტის მერია ახორციელებს მის ფინანსურ მხარდაჭერას გრანტის სახით, რათა გააგრძელოს თავისი შემოქმედებითი საქმიანობა, როგორც მუნიციპალიტეტში ასევე ქვეყნის მამულებით და მის საზღვრებს გარეთ. თეატრი ახორციელებს წლის განმავლობაში სხვადასხვა სახის სპექტაკლების წარმოდგენას, რაც ხელს უწყობს მუნიციპალიტეტის კულტურული ცხოვრების დონის გაჯანსაღებასა და წარმოჩენას.

- **კულტურულ ღონისძიებათა მხარდაჭერა (პროგრამული კოდი 05 02 04);**

ქვეპროგრამის მიზანი:

ტრადიციული დღესასწაულის მხარდაჭერა და პოპულარიზაცია, კულტურული ცხოვრების გამრავალფეროვნება, კულტურული ღონისძიებებისა და ფესტივალების ორგანიზება.

ქვეპროგრამის აღწერა:

ქვეპროგრამა ითვალისწინებს ღირშესანიშნავი თარიღების აღნიშვნას, ნიჭიერი ახალგაზრდობის გამოვლენას, საინტერესო პროექტების ხელშეწყობას, წარმატებული ახალგაზრდობის წახალისებას საჩუქრებით. მუნიციპალიტეტისათვის ტრადიციული ღონისძიებების მათ შორის შუამთობის, ტბელობის, სელიმობის, დიდაჭარობის ორგანიზება-ჩატარებას, რომლის დროსაც იმართება კონცერტები, სპორტული და სხვა შეჯიბრებები. ტარდება სტუდენტებთან და წარჩინებულ მოსწავლეებთან, დამსახურებულ პედაგოგებთან შეხვედრები. თვითშემოქმედი კოლექტივები და კულტურის ცენტრთან არსებული სხვადასხვა ანსამბლები მონაწილეობას ღებულობენ სხვადასხვა კონკურსებში და ფესტივალებში, როგორც რესპუბლიკურ ასევე საერთაშორისო დონეზე.

- **ახალგაზრდობის სამოქალაქო საქმიანობაში ჩართულობა და ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 02 05);**

ქვეპროგრამის მიზანი:

მუნიციპალიტეტში არსებული ახალგაზრდობის სამოქალაქო საქმიანობაში ჩართულობა და ხელშეწყობა.

ქვეპროგრამის აღწერა:

ქვეპროგრამა ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრებ მოზარდებთან მუშაობას,



რომლის მიზანია ახალგაზრდებში შემეცნებითი და ინტელექტუალური დონის ამაღლება. აგრეთვე ახალგაზრდების საზოგადოებრივ საქმიანობაში ჩართვა და სხვადასხვა ღონისძიებების ორგანიზება.

- ა(ა)იპ კურორტი ბეშუმში (პროგრამული კოდი 05 02 06);

ქვეპროგრამის მიზანი:

კურორტ ბეშუმში არსებული ინფრასტრუქტურის მოვლა-შენახვა და მისი რეაბილიტაცია.

ქვეპროგრამის აღწერა:

ქვეპროგრამა ითვალისწინებს კურორტ ბეშუმში არსებული ინფრასტრუქტურის მოვლა-შენახვას, კურორტის ტერიტორიის დასუფთავებას, წყლისა და კანალიზაციის სისტემების მომსახურებას, ზამთრის პერიოდში არსებული ინფრასტრუქტურის დაცვას და შენობა-ნაგებობების უსაფრთხოების უზრუნველყოფას.

- ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 02 07);

ქვეპროგრამის მიზანი:

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ტურისტულად საინტერესო ადგილების შესწავლა, შემდგომში მათი პოპულარიზაცია და ტურისტების მოზიდვა სხვადასხვა ღონისძიებებისა და აქტივობების მეშვეობით.

ქვეპროგრამის აღწერა:

ქვეპროგრამა ითვალისწინებს ხულოს მუნიციპალიტეტში ისტორიული და კულტურული ძეგლების ტურისტებისათვის და სხვა სამიზნე ჯგუფებისათვის გაცნობის ხელმისაწვდომობას, ადგილობრივი ტრადიციების, ტრადიციული დღესასწაულების, ზემო აჭარული კერძებისა და ხალხური რეწვის ნიმუშების პოპულარიზაციას, ტურისტულ სააგენტოებთან მჭიდრო თანამშრომლობას ტურისტების მოზიდვის მიზნით და ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარებას. ქვეპროგრამა მოიცავს ლაშქრობებს, ექსკურსიებს, საერთაშორისო ფესტივალებში მონაწილეობის ორგანიზებას, სარეკლამო ბუკლეტების/ფლაერების დამზადებას. ქვეპროგრამის ფარგლებში ხულოს მუნიციპალიტეტის ოფიციალურ საინფორმაციო პორტალზე განთავსდება ინფორმაცია და ფოტომასალა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ტურისტული ობიექტების შესახებ. ქვეპროგრამის ძირითადი სამიზნე ჯგუფები იქნებიან ტურისტები, სოციალურად დაუცველი და წარჩინებული მოსწავლეები, სტუდენტები, ტურისტული სააგენტოები, გიდები და სხვა.

- გენდერული თანასწორობის ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 02 08);

ქვეპროგრამის მიზანი:

გენდერული თანასწორობის შესახებ ცნობიერების ამაღლება.

ქვეპროგრამის აღწერა:

ქვეპროგრამით განხორციელდება ქალთა მეტი ჩართულობა ადგილობრივი თვითმართველობის პროცესში. დაგეგმილია ტრენინგებისა და სემინარების ჩატარება გენდერული თანასწორობის საკითხებთან დაკავშირებით, ასევე განხორციელდება მუნიციპალიტეტის სოფლებში გასვლითი შეხვედრების ჩატარება.

- კულტურის ობიექტების მშენებლობა, რეაბილიტაცია (პროგრამული კოდი 05 02 09);

ქვეპროგრამის მიზანი:

კულტურის ობიექტების რეაბილიტაცია.

ქვეპროგრამის აღწერა:

ქვეპროგრამით განხორციელდება სოფელ ხიხაძირში კულტურის სახლის რემონტი, ა(ა)იპ „ხულოს



კულტურის ცენტრი"-ს შიდა რემონტი და სოფელ ყინჩაურის კულტურის სახლის რემონტი და საპირფარეოს მოწოდება.

ასევე განხორციელდება სოფელ დიდაჭარაში ეკლესიისათვის ბალავარის მოწყობა და სოფელ დეკანაშვილებში ცენტრალური მეჩეთის რეკონსტრუქცია.

პრიორიტეტი:

5. ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 06 00)

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობა და მათი სოციალური პირობების გაუმჯობესება მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის ფარგლებში გაგრძელდება საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის მიზნით ადგილობრივ დონეზე სხვადასხვა ღონისძიებების განხორციელება, რაც უზრუნველყოფს მოსახლეობის დაცვას სხვადასხვა დაავადებებისაგან. ასევე მუნიციპალიტეტი არსებული რესურსების ფარგლებში განაგრძობს სოციალურად დაუცველი მოსახლეობის სხვადასხვა დახმარებით და შეღავათებით უზრუნველყოფას.

5.1 ჯანმრთელობის დაცვა (პროგრამული კოდი 06 01)

პროგრამის მიზანი:

მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესება და ჯანმრთელობის დაცვის სერვისებზე ხელმისაწვდომობის გაზრდა.

პროგრამის აღწერა:

პროგრამა ითვალისწინებს მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვასა და პირველადი სამედიცინო დახმარების გაწევას ამბულატორიულად, მედიკამენტებით უზრუნველყოფას, ჯანმრთელობის გაუმჯობესებას და განმტკიცებას.

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება შემდეგი ქვეპროგრამები:

- ა(ა)იპ ხულოს სოციალური სერვისების ცენტრი (პროგრამული კოდი 06 01 01);

ქვეპროგრამის მიზანი:

ამბულატორიული მომსახურების გაუმჯობესება.

ქვეპროგრამის აღწერა:

ქვეპროგრამა ითვალისწინებს ხულოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული თემის სამედიცინო პუნქტების და ამბულატორიების მომსახურების გაუმჯობესებას, რისთვისაც ა(ა)იპ ხულოს სოციალური სერვისების ცენტრი უზრუნველყოფს ექიმებსა და ექთნებს მედიკამენტებით და სხვა მიმდინარე ხარჯებით (მძღოლის ხელფასი, საწვავი, ავტომანქანის რემონტი, ავტომანქანის დაზღვევა, ოფისის ხარჯები და სხვა), რათა უზრუნველყოს მოსახლეობის შეუფერხებელი პირველადი სამედიცინო მომსახურება.

- სამედიცინო მომსახურების თანადაფინანსება (პროგრამული კოდი 06 01 02);

ქვეპროგრამის მიზანი:

ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესება და ჯანმრთელობის ზიანის რისკების შემცირება.

ქვეპროგრამის აღწერა:

საყოველთაო, სადაზღვევო კომპანიების, აჭარის ა.რ. ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ პროგრამებით დაფინანსებების მიუხედავად ბენეფიციარებს ოპერაციული



მკურნალობისთვის მაინც რჩებათ გარკვეული რაოდენობის თანხა გადასახადი, რაც მძიმე ტვირთად აწვება ოჯახებს. აღნიშნული ქვეპროგრამა ითვალისწინებს თანადაფინანსებას იმ ბენეფიციარებზე, რომელთაც სარეიტინგო ქულა არ აღემატება 100 000-ს, მათ გაეწევათ ფინანსური დახმარება დარჩენილი თანხის 60 %-ს ოდენობით, ხოლო 100 000 დან 200 000-მდე სარეიტინგო ქულის მქონე ოჯახებს 50%-ს ოდენობით, მაგრამ არაუმეტეს 500 (ხუთასი) ლარისა.

- მოწყვლადი სოციალური ჯგუფების ბენეფიციართა მედიკამენტებით უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 06 01 04);

ქვეპროგრამის მიზანი:

მოსახლეობის მოწყვლადი ჯგუფების ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესება.

ქვეპროგრამის აღწერა:

ხულოს მუნიციპალიტეტის მერიამ შეიმუშავა მოწყვლადი სოციალური ჯგუფების ბენეფიციართა მედიკამენტებით უზრუნველყოფის ქვეპროგრამა, რომელიც ითვალისწინებს სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებული ოჯახის წევრებზე, რომლებსაც მინიჭებული აქვთ 0-დან 100 000-ის ჩათვლით სარეიტინგო ქულა, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებზე, ომის ვეტერანებსა და საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ომში დაღუპულთა ოჯახის წევრებზე (დედა, მამა, მეუღლე, შვილები), მრავალშვილიანი (18 წლამდე ასაკის 5 და მეტი შვილი) ოჯახის წევრებზე, მარტოხელა მშობლებსა და მათ შვილებზე, მარტოხელა ასაკით პენსიონერებზე - მედიკამენტოზური მკურნალობისათვის წელიწადში ერთხელ 200 ლარიანი დახმარების ვაუჩერის გაცემას მედიკამენტების შესაძენად.

იმ შემთხვევაში თუ ოჯახში არის ორი შშმ პირი, ორი ვეტერანი, სოციალურად დაუცველი და შშმ პირი/ვეტერანი, შშმ პირი/ ვეტერანი, მათ მიეცემათ ორი 200 ლარიანი ვაუჩერი.

- მძიმე ფსიქიკური აშლილობის მქონე პირებზე მობილური გუნდების მომსახურება (პროგრამული კოდი 06 01 05);

ქვეპროგრამის მიზანი:

ხულოს მუნიციპალიტეტში მცხოვრებ მძიმე ფსიქიკური აშლილობის მქონე პირებისათვის ადგილზე სამედიცინო მომსახურების გაწევა.

ქვეპროგრამის აღწერა:

ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია ხულოს მუნიციპალიტეტში ორი მობილური გუნდის დაფინანსება თვის განმავლობაში 100 პაციენტის ადგილზე მომსახურებით. გუნდის მუშაობა განისაზღვრება ბინაზე ვიზიტითა და მედიკამენტოზური მკურნალობით.

- პერსონალური ასისტენტით მომსახურება (პროგრამული კოდი 06 01 06);

ქვეპროგრამის მიზანი:

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დამოუკიდებელი ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესება

ქვეპროგრამის აღწერა:

პერსონალური ასისტენტის სერვისი - შშმ პირებს გაუწევს სათანადო მხარდაჭერას დამოუკიდებელი ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესებისა და საკუთარი ცხოვრების კონტროლის გაზრდაში, სამუშაო ადგილზე, განათლების მიღების პროცესში, საჯარო სერვისებით სარგებლობისას, ან ყოველდღიური საქმიანობის განხორციელებისას.

გაეროს 2006 წლის შშმ პირთა უფლებების კონვენციის მე-19 მუხლით (დამოუკიდებელი ცხოვრება და საზოგადოებრივ ცხოვრებაში ჩართვა) და შშმ პირთა უფლებების შესახებ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-3 ნაწილის და 37-ე მუხლის მე-5 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით აღებული ვალდებულების განხორციელების ხელშეწყობის მიზნით ქვეპროგრამა ითვალისწინებს პერსონალური ასისტენტის



მომსახურებით 18 წლის და მეტი ასაკის შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე იმ პირების (4 პირი) უზრუნველყოფას, რომლებიც ცდილობენ დამოუკიდებელი ცხოვრების წესით ცხოვრებას და მონაწილეობენ სხვადასხვა ყოველდღიურ (საგანმანათლებლო, სპორტული, კულტურული და სხვა) აქტივობებში, მუშაობენ და / ან არიან მარტოხელა შშმ პირები და საჭიროებენ მხარდაჭერას ცხოვრებისეულ, ყოველდღიურ აქტივობებში (ჰიგიენა, ჩაცმა, კვება, გადაადგილება და სხვა). ქვეპროგრამის მომსახურება მოიცავს: წელიწადში 264 დღეს, დღეში 3 საათს და ერთი საათის მომსახურება დაფინანსდება 10 ლარის ოდენობით.

5.2 სოციალური უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 06 02)

პროგრამის მიზანი:

საზოგადოების ცალკეული კატეგორიების სოციალური პირობების გაუმჯობესება.

პროგრამის აღწერა:

საზოგადოების ყველა წევრს, არ შეუძლია ამა თუ იმ მიზეზის გამო უზრუნველყოს მისი და მისი ოჯახის ცხოვრების ნორმალური დონე, ამიტომ აუცილებელია შრომისუუნარო მოსახლეობზე, მრავალშვილიან ოჯახებზე, სოციალურად დაუცველ ფენებზე დახმარება. მზრუნველობის საგანს წარმოადგენენ შშმ პირები და ომის ვეტერანები, მრავალშვილიანი ოჯახები, დიალიზის სახელმწიფო პროგრამაში ჩართული პირები, რეაბილიტაციას დაქვემდებარებული ბავშვები, ონკოლოგიურ და ხანგრძლივ მკურნალობას დაქვემდებარებული სოციალურად შეჭირვებული ოჯახები, ავარიული სახლების მქონე ოჯახები, უსახლკაროები, მარტოხელა მშობლის სტატუსის მქონე პირები და სხვა.

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება შემდეგი ქვეპროგრამები:

- სოციალურად დაუცველი ფენისათვის ყოველდღიური ერთჯერადი უფასო კვებით უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 06 02 01);

ქვეპროგრამის მიზანი:

ხულოს მუნიციპალიტეტში მცხოვრები სოციალურად დაუცველი მოსახლეობის ყოველდღიური ერთჯერადი უფასო კვებით უზრუნველყოფა.

ქვეპროგრამის აღწერა:

ხულოს მუნიციპალიტეტში სოციალურად დაუცველთათვის განკუთვნილია სასადილო დაბა ხულოში, რომელიც ემსახურება აღნიშნული კონტიგენტის 50 ბენეფიციარს უფასო ერთჯერადი კვებით. კვებით უზრუნველყოფა განხორციელდება ერთჯერადად ყოველდღიურად არსებული მენიუს შესაბამისად. შერჩევა მოხდება 0-დან 57 000-მდე სარეიტინგო ქულის მქონე ოჯახებს შორის, უპირატესობა მიენიჭება დაბალი ქულის მქონე მარტოხელა და შშმ პირებს 2023 წლის განმავლობაში შემოსული განცხადებების მიხედვით. დამატებით მოქალაქეების მომართვიანობის შემთხვევაში განცხადებას განიხილავს შესაბამისი სამსახური და შესაძლებლობის ფარგლებში განხორციელებული ცვლილების შესაბამისად ჩაერთვებიან პროგრამაში.

- ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანების, მათთან გათანაბრებული პირების ომში დაღუპულთა ოჯახის წევრების და მარჩენალდაკარგულთა სოციალურ-ეკონომიკური პირობების გაუმჯობესების შედეგად უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 06 02 02);

ქვეპროგრამის მიზანი:

ვეტერანთა უკვდავყოფა და მათზე ფინანსური და მატერიალური დახმარების გაწევა.

ქვეპროგრამის აღწერა:

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება სამშობლოს წინაშე ღვაწლმოსილი ადამიანების, ომისა და თავდაცვის ძალების ვეტერანების, მათთან გათანაბრებულ პირების, ომში დაღუპულთა ოჯახის წევრების და მარჩენალდაკარგულთა ოჯახებზე სხვადასხვა სახის ღონისძიებების უზრუნველყოფას (15



თებერვალი, 8 მარტი, 9 მაისი, 8 აგვისტო, 17 ოქტომბერი და სხვა), 2012 წლის 21 თებერვალს სამშვიდობო მისიის დროს და 2008 წლის აგვისტოს ომში გარდაცვლილ ვეტერანის ოჯახებზე ერთჯერადი ფინანსური დახმარების გაწევა. ასევე გათვალისწინებულია ვეტერანის დაკრძალვისათვის (საჭიროების შემთხვევაში) ხარჯები.

- უკიდურესად გაჭირვებულ ოჯახებში გარდაცვლილ პირთა დაკრძალვისათვის ერთჯერადი ფინანსური დახმარება (პროგრამული კოდი 06 02 03);

ქვეპროგრამის მიზანი:

ხულოს მუნიციპალიტეტში მცხოვრები 0-დან 100000 სარეიტინგო ქულის მქონე ოჯახებისათვის ოჯახის წევრის გარდაცვალების შემთხვევაში ერთჯერადი ფინანსური დახმარების გაწევა.

ქვეპროგრამის აღწერა:

ქვეპროგრამით ხორციელდება სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი (100000 ქულაზე ნაკლები) ოჯახების ფულადი დახმარება, რომელიც ითვალისწინებს სოციალურად დაუცველი ოჯახის წევრის გარდაცვალების შემთხვევაში ერთჯერადი ფინანსური დახმარების გაწევას, საშუალოდ 110 ოჯახზე 400 ლარის ოდენობით.

- მარტოხელა მშობლის სტატუსის მქონე პირთა ფინანსური დახმარების გაწევა (პროგრამული კოდი 06 02 04);

ქვეპროგრამის მიზანი:

მარტოხელა მშობლის სტატუსი მქონე პირთა ფინანსური დახმარება.

ქვეპროგრამის აღწერა:

ადგილობრივი თვითმმართველობის ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულება მუნიციპალიტეტში მცხოვრები მოქალაქეების სოციალური ფონის გაუმჯობესებაა. მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფო და მათ შორის ხულოს მუნიციპალიტეტის მერია სოციალურ-ეკონომიკური დახმარების მიმართულებით გარკვეულ პროგრამებს ახორციელებს, დღის წესრიგში კვლავ რჩება ისეთი პრობლემები როგორცაა, მარტოხელა მშობლის სტატუსის მქონე პირთა სოციალური მდგომარეობა. აქედან გამომდინარე საჭიროება შეიქმნა მუნიციპალიტეტში მცხოვრები „მარტოხელა მშობლის სტატუსის მქონე პირები“-სათვის ფინანსურ დახმარების გაწევა.

- მრავალშვილიან ბავშვთა ოჯახებზე (18 წლამდე) ერთჯერადი ფინანსური დახმარება (პროგრამული კოდი 06 02 05);

ქვეპროგრამის მიზანი:

ხულოს მუნიციპალიტეტში მცხოვრები მრავალშვილიან ოჯახებზე (18 წლამდე ასაკის ბავშვები) ერთჯერადი ფინანსური დახმარების გაწევა.

ქვეპროგრამის აღწერა:

დემოგრაფიული პრობლემების ფონზე დღის წესრიგში დადგა მრავალშვილიანი ოჯახების ფინანსური დახმარება. ფინანსური დახმარება გაეწევა ოჯახს რომელსაც ყავს 4 და მეტი შვილი 18 წლამდე ასაკის. ერთჯერად ფინანსურ დახმარებას მიიღებენ მშობლები (დედა, მამა ან მეურვე).

- მუნიციპალიტეტში ავარიული სახლების მქონე უკიდურესად გაჭირვებული ოჯახებისათვის საცხოვრებელი სახლის მშენებლობის ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 06 02 06);

ქვეპროგრამის მიზანი:

ავარიული სახლების მქონე უკიდურესად გაჭირვებული ოჯახების საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება.



ქვეპროგრამის აღწერა:

ავარიული სახლების მქონე უკიდურესად გაჭირვებული ოჯახების საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება საჭიროებს განსაკუთრებულ ყურადღებასა და მზრუნველობას. გარკვეულ შემთხვევებში საცხოვრებელი სახლები სიძველისა და უსახსრობის გამო ავარიულ მდგომარეობაშია და აღდგენას არ ექვემდებარება, რისი საშუალებაც უმეტესწილად ოჯახებს არ გააჩნიათ. აქედან გამომდინარე ხულოს მუნიციპალიტეტის მერიის მიერ შემუშავებული იქნა სოციალურად შეჭირვებულ პირთა ოჯახებზე განსაკუთრებულ შემთხვევებში ერთჯერადი მატერიალური დახმარების ქვეპროგრამა. ბენეფიციართა შერჩევისას უპირატესობა ენიჭება ოჯახში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის არსებობას, ასევე მრავალშვილიან (მცირეწლოვანები) ოჯახებს. ქვეპროგრამით განხორციელდება 2 ერთეული საცხოვრებელი სახლის შექმნა.

- დიალიზის სახელმწიფო პროგრამაში ჩართულ პირთა ყოველთვიური ფინანსური დახმარება (პროგრამული კოდი 06 02 08);

ქვეპროგრამის მიზანი:

ხულოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები დიალიზის სახელმწიფო პროგრამაში ჩართული პაციენტების ტრანსპორტირება ან დროებით თავშესაფრით უზრუნველყოფა.

ქვეპროგრამის აღწერა:

ქვეპროგრამა ითვალისწინებს დიალიზის სახელმწიფო პროგრამით მოსარგებლე ბენეფიციარის ქალაქ ბათუმის კლინიკებში დიალიზის სეანსების ჩასატარებლად ტრანსპორტირების ან დროებითი საცხოვრებელი ხარჯების კომპენსაციის გაწევას (პაციენტები ყოველთვიურად იტარებენ 12-13 დიალიზის სეანს). ვინაიდან გარკვეულ შემთხვევაში აღნიშნული კატეგორიის ბენეფიციარები არიან მძიმე მდგომარეობაში და ვერ ახერხებენ მუნიციპალიტეტიდან ქალაქ ბათუმში ყოველი სეანსის დროს მგზავრობას, ამიტომ მათ უხდებოდათ ადგილზე (ქ. ბათუმი) ცხოვრება და მათთვისაც ისევე განხორციელდება ქვეპროგრამის ფარგლებში დახმარება, როგორც იმ პირებისთვის რომლებიც ახერხებენ მუნიციპალიტეტიდან მგზავრობას. აღნიშნულ სახელმწიფო პროგრამაში ჩართულია 21 ბენეფიციარი. დაფინანსება მოხდება ფორმა #100-ის შესაბამისად (თანმხლებ პირთან ერთად 350 ლარი, მხოლოდ ბენეფიციარის შემთხვევაში 300 ლარი). ქვეპროგრამა შედგენილი იქნა დიალიზის სახელმწიფო პროგრამაში ჩართული ბენეფიციარების მომართვის საფუძველზე.

- ონკოლოგიურ და ხანგრძლივ მკურნალობას დაქვემდებარებული დაავადებების და მძიმე ტრავმული დაზიანებების მქონე სოციალურად შეჭირვებულ პირთა ოჯახებზე ერთჯერადი ფინანსური დახმარება (პროგრამული კოდი 06 02 09);

ქვეპროგრამის მიზანი:

ონკოლოგიურ და ხანგრძლივ მკურნალობას დაქვემდებარებული დაავადებების და მძიმე ტრავმული დაზიანებების მქონე სოციალურად შეჭირვებულ პირთა ოჯახებზე ერთჯერადი ფინანსური დახმარების გაწევა.

ქვეპროგრამის აღწერა:

ონკოლოგიურ და ხანგრძლივ მკურნალობას დაქვემდებარებული დაავადებები საჭიროებს განსაკუთრებულ ყურადღებასა და გამოკვლევების დროულ ჩატარებას. ასევე, მძიმე ტრავმული დაზიანებების შედეგად გარკვეულ შემთხვევებში საჭირო ხდება პაციენტის დროული გადაყვანა სამედიცინო დაწესებულებებში, რისი საშუალებაც უმეტესწილად ოჯახებს არ გააჩნიათ. აქედან გამომდინარე ხულოს მუნიციპალიტეტის მერიის მიერ შემუშავებული იქნა სოციალურად შეჭირვებულ პირთა ოჯახებზე განსაკუთრებულ შემთხვევებში ერთჯერადი ფინანსური დახმარების ქვეპროგრამა.

- ხანძრის შედეგად დაზარალებულ ოჯახებზე სახლის სახურავის შექმნისათვის ერთჯერადი ფინანსური დახმარება (პროგრამული კოდი 06 02 10);

ქვეპროგრამის მიზანი:



ხულოს მუნიციპალიტეტში ხანძრის შედეგად დაზარალებულ ოჯახებზე სახურავის შექმნისათვის ერთჯერადი ფინანსური დახმარების გაწევა, მოსახლეობის საცხოვრებელი სახლების თუნუქის ფურცლებით უზრუნველყოფა.

ქვეპროგრამის აღწერა:

ხულოს მუნიციპალიტეტის მერიაში რეგისტრირებულია ათეულობით განცხადება, რომლითაც ითხოვენ ხანძრის შედეგად დაზარალებული ოჯახები საცხოვრებელი სახლების სახურავების შექმნისათვის დახმარებას. აღნიშნული მოქალაქეების უმრავლესობა იმყოფება სიღარიბის ზღვარს ქვემოთ და არ გააჩნიათ საშუალება, რომ საკუთარი სახსრებით მოახდინონ საცხოვრებელი სახლების სახურავების შექმნა. გამომდინარე აქედან, ვინაიდან ოჯახები ხანძრის შედეგად მნიშვნელოვნად ზარალდებიან, საჭიროა აღნიშნული პროექტის განხორციელება, რათა მოხდეს მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გამოსწორება. აღნიშნული პროექტის განხორციელება ხელს შეუწყობს მოსახლეობის სოციალური მდგომარეობისა და საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესებას.

- **ბავშვთა რეაბილიტაციის პროგრამაში ჩართულ ბენეფიციართა ფინანსური დახმარება (პროგრამული კოდი 06 02 11);**

ქვეპროგრამის მიზანი:

ხულოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები სამედიცინო და სოციალური რეზილიტაციის პროგრამაში ჩართულ ბავშვთა რეაბილიტაციის კურსებზე მგზავრობის ხელშეწყობა.

ქვეპროგრამის აღწერა:

ქვეპროგრამა ითვალისწინებს ხულოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები ცერებრალური დამბლით, ცენტრალური და პერიფერიული ნერვული სისტემის, კუნთთა და ძვალსახსროვანი სისტემის დაავადებების მქონე ბავშვთა და სხვა რეაბილიტაციის სახელმწიფო პროგრამაში ჩართულ ბენეფიციართა კურსებზე მიმოსვლის ტრანსპორტის ხარჯების ანაზღაურებას ხულოდან ქ. ბათუმამდე თანმხლებ პირებთან ერთად. დახმარება განისაზღვრება დღიური 20 ლარის ოდენობით.

- **ავარიული სახლების მქონე და სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული მოსახლეობის ქირით უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 06 02 12);**

ქვეპროგრამის მიზანი:

ავარიული სახლების მქონე და სტიქიური მოვლენების შედეგად დაზიანებულ საცხოვრებელ სახლებში მცხოვრები მოქალაქეების (ოჯახები) დროებით თავშესაფარში გაყვანა უსაფრთხოების მიზნით.

ქვეპროგრამის აღწერა:

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ავარიული სახლების მქონე და სტიქიური მოვლენების შედეგად დაზიანებულ საცხოვრებელ სახლებში მცხოვრები მოქალაქეები (ოჯახები), რომლებსაც არ გააჩნიათ სხვა უსაფრთხო ალტერნატიული საცხოვრებელი ფართები, საჭიროებენ განსაკუთრებულ ყურადღებას და დროებით თავშესაფარში გაყვანას უსაფრთხოების მიზნით. გარკვეულ შემთხვევებში საცხოვრებელი სახლები სიძველის და სტიქიური მოვლენების შედეგად დაზიანებულია, არის ავარიულ მდგომარეობაში, აღდგენას არ ექვემდებარება და საცხოვრებლად საფრთხეს წარმოადგენს. გამომდინარე აქედან ხულოს მუნიციპალიტეტის მერიის მიერ შემუშავებული იქნა ავარიული სახლების მქონე და სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული მოსახლეობის ქირით უზრუნველყოფის პროგრამა. ბენეფიციარის შერჩევისას უპირატესობა ენიჭება: შესაბამისი კომპეტენტური უწყებების მიერ გაცემულ ვიზუალურ საინჟინრო-გეოლოგიურ დასკვნას, შესაბამისი სამსახურის სპეციალისტის (ინჟინერ-კონსტრუქტორი) და მერის წარმომადგენლის (შესაბამის ადმინისტრაციულ ერთეულში) მიერ შედგენილ ვიზუალურ დათვალიერების აქტს, ოჯახში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის არსებობას, მრავალშვილიანობას (მცირეწლოვნები), სოციალურ მდგომარეობას (საარსებო შემწეობის მიმღები). საბოლოო გადაწყვეტილებას ოჯახის დროებით თავშესაფარში გაყვანასთან დაკავშირებით ღებულობს ხულოს მუნიციპალიტეტის მერის



ბრძანებით შექმნილი კომისია.

- მოვლის საჭიროების მქონე შშმ პირებისათვის ფინანსური დახმარება (პროგრამული კოდი 06 02 13);

ქვეპროგრამის მიზანი:

0-დან-200000-მდე ქულის მქონე მოვლის საჭიროების პირთა მატერიალური მხარდაჭერა.

ქვეპროგრამის აღწერა:

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება პირადი ჰიგიენის მოწესრიგების მიზნით სამედიცინო მოვლის საგნების შესასყიდად ყოველთვიური ფინანსური დახმარება მოვლის საჭიროების მქონე შშმ (მკვეთრად და მნიშვნელოვნად გამოხატულ) პირებზე 50 ლარის ოდენობით ყოველთვიურად.

- წითელი ჯვრის თანადაფინანსება (პროგრამული კოდი 06 02 15);

ქვეპროგრამის მიზანი:

უსაფრთხო თემების ჩამოყალიბების/განვითარების ხელშეწყობა კატასტროფებისთვის მზადებით, ჯანდაცვაზე ხელმისაწვდომობის გაზრდითა და სოციალური მხარდაჭერით.

ქვეპროგრამის აღწერა:

საქართველო რადიკალური და სწრაფი ცვლილებების აუცილებლობის წინაშე დგას, რადგან სპონტანურად და არათანმიმდევრულად განხორციელებულმა რეფორმებმა ქვეყანაში ვითარება საგრძნობლად გააუმჯობესა, მაგრამ სასურველი შედეგი ვერ მოგვცა, განსაკუთრებით, უმუშევრობისა და სიღარიბის დონის შემცირების კუთხით. დღემდე არსებულ სტრატეგიულ და საპროგრამო დოკუმენტებში გაცხადებული მიზნები, რომლებიც სიღარიბისა და უმუშევრობის მნიშვნელოვან შემცირებას უკავშირდებოდა, კვლავ მიუღწეველია. ეროვნული ეკონომიკის განვითარებაზე უარყოფითად მოქმედებს ასევე გახშირებული სტიქიური უბედურებები თუ სხვადასხვა სახის დაავადებათა გავრცელების საფრთხე, რაც მოსახლეობას, განსაკუთრებით კი მოწყვლად ჯგუფებს, დიდი რისკის წინაშე აყენებს. საქართველოში ამ მიმართულებითაც არაერთი რეფორმა განხორციელდა და შესაბამისი ნაბიჯები გადაიდგა, თუმცა სრულყოფილი და სტაბილური სისტემის შექმნა მოითხოვს გრძელვადიან განვითარებას. თანამედროვე მსოფლიოში, მათ შორის ჩვენ ქვეყანაში, გლობალურმა პანდემიამ მნიშვნელოვანი გამოწვევების წინაშე დააყენა როგორც საზოგადოება, ასევე ჯანდაცვის სისტემა და ადგილობრივი თვითმმართველობა. გასათვალისწინებელია, რომ არაერთი გამოწვევის წინაშე მდგომი მოსახლეობის დღის წესრიგი გულისხმობს მოქალაქეების საყოველთაო ჩართულობასა და უშუალოდ თემის წევრების აქტიურ მონაწილეობას განვითარების პროცესში.

საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოება, როგორც ჰუმანიტარულ სფეროში მთავრობის დამხმარე ორგანიზაცია (საქართველოს კანონი „საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოების შესახებ“ 15/07/2017), ემსახურება განსაცდელში ჩავარდნილი ადამიანების ხვედრის შემსუბუქებას, მათი სიცოცხლისა და ღირსების დაცვას. აღსანიშნავია, რომ დღეისათვის საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოება წარმოადგენს ერთადერთ არასამთავრობო ორგანიზაციას, რომელსაც ქვეყნის სამოქალაქო უსაფრთხოების ეროვნული გეგმის (საქართველოს მთავრობის 2015 წლის 24 სექტემბრის #508 დადგენილება) შესაბამისად შემდეგი ფუნქციები აქვს: მონაწილეობს სამძებრო და სამაშველო საქმიანობებში; საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოს კოორდინირებით ორგანიზებას უწევს საგანგებო სიტუაციის შედეგების აღმოფხვრაში ჩართული არასამთავრობო ორგანიზაციების საქმიანობებს; არის საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს დამხმარე რგოლი დაზარალებული მოსახლეობისათვის პირველი დახმარების უზრუნველყოფაში და სავლეთ ჰოსპიტალის მოწყობაში; ასევე ეხმარება საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს დაზარალებული მოსახლეობისათვის წყლისა და საკვების მიწოდებაში საგანგებო სიტუაციის დროს.

- მზრუნველობა მოკლებულ ბენეფიციართა მოვლა-პატრონობა (პროგრამული კოდი 06 02 16);



ქვეპროგრამის მიზანი:

მზრუნველობა მოკლებულ და მოვლის საჭიროების მქონე პირთა სოციალური პირობების გაუმჯობესება.

ქვეპროგრამის აღწერა:

უპოვარ და მზრუნველობას მოკლებულ ბენეფიციარებზე ზრუნვა მუნიციპალიტეტის საქმიანობის ერთ-ერთ ძირითად მიმართულებას წარმოადგენს. აღნიშნული კატეგორიის ბენეფიციარები გადაყვანილი იქნებიან თავშესაფარში სადაც, მოხდება მათი სამედიცინო მომსახურება, თავშესაფრითა და კვებით უზრუნველყოფა და სხვა მომსახურების გაწევა საჭიროების მიხედვით.

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ასიგნებები

განისაზღვროს ხულოს მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის ასიგნებები 31 339 842 ლარის ოდენობით

| პროგრამული კოდი | დასახელება | 2022 წლის ფაქტი | 2023 წლის გეგმა | 2024 წლის გეგმა | | |
|-----------------|------------------------------------------------------------------|-------------------|-------------------|-------------------|------------------------------------------------|---------------------|
| | | | | სულ | მათ შორის | |
| | | | | | სახ.ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | ადგილობრივი ბიუჯეტი |
| | ხულოს მუნიციპალიტეტი | 19 650 188 | 25 563 600 | 31 339 842 | 0 | 31 339 842 |
| | მომუშავეთა რიცხოვნობა | 645 | 645 | 653 | 0 | 653 |
| | ხარჯები | 12 198 265 | 14 885 969 | 17 678 014 | 0 | 17 678 014 |
| | შრომის ანაზღაურება | 4 817 368 | 6 496 308 | 7 158 586 | 0 | 7 158 586 |
| | საკონელი და მომსახურება | 4 536 316 | 5 723 966 | 6 905 780 | 0 | 6 905 780 |
| | სუბსიდიები | 3 250 | 29 500 | 107 135 | 0 | 107 135 |
| | გრანტები | 236 259 | 327 800 | 303 190 | 0 | 303 190 |
| | სოციალური უზრუნველყოფა | 1 204 644 | 1 441 433 | 1 536 120 | 0 | 1 536 120 |
| | სხვა ხარჯები | 1 400 428 | 866 962 | 1 667 203 | 0 | 1 667 203 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 7 451 923 | 10 677 631 | 13 661 828 | 0 | 13 661 828 |
| 01 00 | წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსება | 3 091 091 | 4 580 309 | 5 195 311 | | 5 195 311 |
| | მომუშავეთა რიცხოვნობა | 162 | 148 | 148 | | 148 |
| | ხარჯები | 3 064 052 | 4 270 606 | 4 718 620 | | 4 718 620 |
| | შრომის ანაზღაურება | 2 029 219 | 2 947 313 | 3 209 194 | | 3 209 194 |
| | საკონელი და მომსახურება | 859 421 | 1 027 802 | 1 274 208 | | 1 274 208 |



| | | | | | | |
|-----------------|-----------------------------------------------------------------------------|------------------|------------------|------------------|--|------------------|
| | გრანტები | 0 | 32 500 | 18 000 | | 18 000 |
| | სოციალური უზრუნველყოფა | 21 736 | 56 110 | 13 418 | | 13 418 |
| | სხვა ხარჯები | 153 676 | 206 881 | 203 800 | | 203 800 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 27 039 | 309 703 | 476 691 | | 476 691 |
| 01 01 | საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების უზრუნველყოფა საქმიანობის | 3 091 091 | 4 295 617 | 4 545 985 | | 4 545 985 |
| | მომუშავეთა რიცხოვნობა | 162 | 148 | 148 | | 148 |
| | ხარჯები | 3 064 052 | 4 099 461 | 4 441 620 | | 4 423 620 |
| | შრომის ანაზღაურება | 2 029 219 | 2 947 313 | 3 209 194 | | 3 209 194 |
| | საკონელი და მომსახურება | 859 421 | 1 026 802 | 1 128 208 | | 1 128 208 |
| | სოციალური უზრუნველყოფა | 21 736 | 56 110 | 13 418 | | 13 418 |
| | სხვა ხარჯები | 153 676 | 69 236 | 72 800 | | 72 800 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 27 039 | 196 156 | 122 365 | | 122 365 |
| 01 01 01 | მუნიციპალიტეტის საკრებულო | 831 494 | 1 100 161 | 1 184 420 | | 1 184 420 |
| | მომუშავეთა რიცხოვნობა | 27 | 29 | 29 | | 29 |
| | ხარჯები | 821 536 | 1 019 521 | 1 161 420 | | 1 161 420 |
| | შრომის ანაზღაურება | 578 964 | 727 275 | 849 829 | | 849 829 |
| | საკონელი და მომსახურება | 182 911 | 231 232 | 246 709 | | 246 709 |
| | სოციალური უზრუნველყოფა | 15 561 | 16 049 | 2 082 | | 2 082 |
| | სხვა ხარჯები | 44 100 | 44 965 | 62 800 | | 62 800 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 9 958 | 80 640 | 23 000 | | 23 000 |
| 01 01 02 | მუნიციპალიტეტის მერია | 2 153 048 | 3 042 197 | 3 361 565 | | 3 361 565 |
| | მომუშავეთა რიცხოვნობა | 130 | 114 | 119 | | 119 |
| | ხარჯები | 2 135 967 | 2 926 681 | 3 262 200 | | 3 262 200 |
| | შრომის ანაზღაურება | 1 390 429 | 2 116 346 | 2 359 365 | | 2 359 365 |
| | საკონელი და მომსახურება | 629 787 | 746 003 | 881 499 | | 881 499 |
| | სოციალური უზრუნველყოფა | 6 175 | 40 061 | 11 336 | | 11 336 |



| | | | | | | |
|----------|-----------------------------------------------------------------------------------------------------------|----------------|----------------|----------------|--|----------------|
| | სხვა ხარჯები | 109 576 | 24 271 | 10 000 | | 10 000 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 17 081 | 115 516 | 99 365 | | 99 365 |
| 01 01 03 | მობილიზაციის, სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახური | 106 549 | 153 259 | 0 | | 0 |
| | მომუშავეთა რიცხოვნობა | 5 | 5 | 0 | | 0 |
| | ხარჯები | 106 549 | 153 259 | 0 | | 0 |
| | შრომის ანაზღაურება | 59 826 | 103 692 | 0 | | 0 |
| | საკონელი და მომსახურება | 46 723 | 49 567 | 0 | | 0 |
| 01 02 | საერთო დანიშნულების ხარჯები | 0 | 284 692 | 649 326 | | 649 326 |
| | ხარჯები | 0 | 171 145 | 295 000 | | 295 000 |
| | საკონელი და მომსახურება | 0 | 1 000 | 146 000 | | 146 000 |
| | გრანტები | 0 | 32 500 | 18 000 | | 18 000 |
| | სხვა ხარჯები | 0 | 137 645 | 131 000 | | 131 000 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 0 | 113 547 | 354 326 | | 354 326 |
| 01 02 01 | მონაწილეობითი ბიუჯეტი | 0 | 59 000 | 0 | | 0 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | | 59 000 | 0 | | |
| 01 02 02 | სოფლად მცხოვრები ქალების სოციალურ-ეკონომიკური გამდიერება | 0 | 35 500 | 20 000 | | 20 000 |
| | ხარჯები | 0 | 35 500 | 20 000 | | 20 000 |
| | საკონელი და მომსახურება | 0 | 1 000 | 1 000 | | 1 000 |
| | გრანტები | 0 | 32 500 | 18 000 | | 18 000 |
| | სხვა ხარჯები | | 2 000 | 1 000 | | 1 000 |
| 01 02 03 | სარეზერვო ფონდი | 0 | 135 645 | 130 000 | | 130 000 |
| | ხარჯები | 0 | 135 645 | 130 000 | | 130 000 |
| | სხვა ხარჯები | 0 | 135 645 | 130 000 | | 130 000 |
| 01 02 04 | მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული შენობებისა და ა(ა)იპ-სათვის საოფისე ტექნიკისა და ინვენტარის შეძენა | 0 | 0 | 400 000 | | 400 000 |
| | ხარჯები | 0 | 0 | 145 000 | | 145 000 |
| | საკონელი და მომსახურება | 0 | 0 | 145 000 | | 145 000 |



| | | | | | | |
|--------------|----------------------------------------------------------------------------------------------------------|------------------|------------------|-------------------|----------|-------------------|
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | | 0 | 255 000 | | 255 000 |
| 01 02 05 | წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანებების დაფარვისა და სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდი | 0 | 54 547 | 99 326 | | 99 326 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 0 | 54 547 | 99 326 | | 99 326 |
| 02 00 | ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია | 7 620 518 | 9 866 899 | 11 269 803 | 0 | 11 269 803 |
| | მომუშავეთა რიცხოვნობა | 56 | 56 | 56 | 0 | 56 |
| | ხარჯები | 941 838 | 1 244 376 | 1 237 016 | 0 | 1 237 016 |
| | შრომის ანაზღაურება | 265 544 | 316 895 | 352 973 | 0 | 352 973 |
| | საქონელი და მომსახურება | 535 490 | 649 418 | 776 443 | 0 | 776 443 |
| | სუბსიდიები | 0 | 0 | 80 000 | 0 | 80 000 |
| | სოციალური უზრუნველყოფა | 0 | 2 390 | 0 | 0 | 0 |
| | სხვა ხარჯები | 140 804 | 275 673 | 27 600 | 0 | 27 600 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 6 678 680 | 8 622 523 | 10 032 787 | 0 | 10 032 787 |
| 02 01 | საგზაო ინფრასტრუქტურა, მშენებლობა რეაბილიტაცია და მოვლა შენახვა | 1 532 470 | 3 319 781 | 2 491 084 | | 2 491 084 |
| | მომუშავეთა რიცხოვნობა | 0 | 0 | 14 | | 14 |
| | ხარჯები | 133 424 | 122 019 | 229 450 | | 229 450 |
| | შრომის ანაზღაურება | 82 680 | 64 595 | 75 443 | | 75 443 |
| | საქონელი და მომსახურება | 50 744 | 50 934 | 74 007 | | 74 007 |
| | სუბსიდიები | 0 | 0 | 80 000 | | 80 000 |
| | სოციალური უზრუნველყოფა | 0 | 2 390 | 0 | | 0 |
| | სხვა ხარჯები | 0 | 4 100 | 0 | 0 | 0 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 1 399 046 | 3 197 762 | 2 261 634 | | 2 261 634 |
| 02 01 01 | მუნიციპალიტეტში შიდა გადაადგილების ტრანსპორტით მომსახურება | 34 598 | 25 419 | 57 450 | | 57 450 |
| | ხარჯები | 34 598 | 25 419 | 57 450 | | 57 450 |
| | საქონელი და მომსახურება | 34 598 | 25 419 | 57 450 | | 57 450 |
| 02 01 03 | სოფელ ზემო ვაშლოვანში სოფლის საერთო სასაფლაოებისაკენ მიმავალი გზის მოწყობა | 0 | 65 547 | 0 | | 0 |



| | | | | | | |
|----------|-------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|-----------|-----------|-----------|--|-----------|
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | | 65 547 | 0 | | |
| 02 01 04 | სოფელ ირემამებში 2008 წლის რუსეთ საქართველოს ომში დაღუპული მერაბ ჭელიძის სასაფლაოს მიმართულებით ბილიკის მოწყობა | 0 | 0 | 27 630 | | 27 630 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | | | 27 630 | | 27 630 |
| 02 01 05 | მთა ზორტიყელში სახიდეო გადასასვლელის რეაბილიტაცია | 0 | 21 250 | 0 | | 0 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | | 21 250 | 0 | | |
| 02 01 06 | სოფელ ქვემო ვაშლოვანში საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის მებრძოლის მრუსლან მელაძის საფლავთან მისასვლელი ბილიკის მოწყობა | 0 | 5 149 | 0 | | 0 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | | 5 149 | 0 | | |
| 02 01 08 | ავტობუსების შესყიდვა (ორი ერთეული) | 1 399 046 | 1 760 137 | 206 100 | | 206 100 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 1 399 046 | 1 760 137 | 206 100 | | 206 100 |
| 02 01 09 | მუნიციპალიტეტის შიდა სასოფლო გზების პრობლემატური მონაკვეთების მოსაწყობად შხა ბეტონის შესყიდვა | 0 | 274 800 | 1 647 404 | | 1 647 404 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | | 274 800 | 1 647 404 | | 1 647 404 |
| 02 01 10 | ა(ა)იპ ხულო-თაგოს ზაგირგზა | 98 826 | 96 600 | 99 500 | | 99 500 |
| | მომუშავეთა რიცხოვნობა | 14 | 14 | 14 | | 14 |
| | ხარჯები | 98 826 | 96 600 | 92 000 | | 92 000 |
| | შრომის ანაზღაურება | 82 680 | 64 595 | 75 443 | | 75 443 |
| | საქონელი და მომსახურება | 16 146 | 25 515 | 16 557 | | 16 557 |
| | სოციალური უზრუნველყოფა | 0 | 2 390 | 0 | | 0 |
| | სხვა ხარჯები | 0 | 4 100 | 0 | | 0 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 0 | 0 | 7 500 | | 7 500 |
| 02 01 11 | ოთხი ერთეული სპეციალური ტექნიკის შეძენა | 0 | 1 070 879 | 373 000 | | 373 000 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | | 1 070 879 | 373 000 | | 373 000 |
| 02 01 12 | შპს ხულოს ტრანსპორტი | 0 | 0 | 80 000 | | 80 000 |
| | ხარჯები | 0 | 0 | 80 000 | | 80 000 |



| | | | | | | |
|-------------|--------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|-----------|-----------|-----------|--|-----------|
| | სუბსიდიები | 0 | 0 | 80 000 | | 80 000 |
| 02 02 | კომუნალური ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია | 2 396 101 | 3 795 634 | 3 100 203 | | 3 100 203 |
| | მომუშავეთა რიცხოვნობა | 42 | 42 | 42 | | 42 |
| | ხარჯები | 690 430 | 900 527 | 1 007 566 | | 1 007 566 |
| | შრომის ანაზღაურება | 182 864 | 252 300 | 277 530 | | 277 530 |
| | საქონელი და მომსახურება | 484 746 | 598 484 | 702 436 | | 702 436 |
| | სხვა ხარჯები | 22 820 | 49 743 | 27 600 | | 27 600 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 1 705 671 | 2 895 107 | 2 092 637 | | 2 092 637 |
| 02 02 01 | საბინაო ამხანაგობების ხელშეწყობა | 0 | 44 563 | 0 | | 0 |
| | ხარჯები | 0 | 44 563 | 0 | | 0 |
| | სხვა ხარჯები | 0 | 44 563 | 0 | | 0 |
| 02 02 02 | გარე განათებისა და ელექტროგადამცემი ქსელების მოწყობა, რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია | 845 465 | 1 723 117 | 444 885 | | 444 885 |
| | ხარჯები | 274 911 | 336 180 | 303 360 | | 303 360 |
| | საქონელი და მომსახურება | 259 541 | 335 000 | 303 360 | | 303 360 |
| | სხვა ხარჯები | 15 370 | 1 180 | 0 | | 0 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 570 554 | 1 386 937 | 141 525 | | 141 525 |
| 02 02 02 01 | მუნიციპალური ობიექტების გამრიცხველიანება და მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ობიექტების ელექტრო ენერჯით უზრუნველყოფა | 294 111 | 15 550 | 144 885 | | 144 885 |
| | ხარჯები | 274 911 | 0 | 3 360 | | 3 360 |
| | საქონელი და მომსახურება | 259 541 | 0 | 3 360 | | 3 360 |
| | სხვა ხარჯები | 15 370 | 0 | 0 | | 0 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 19 200 | 15 550 | 141 525 | | 141 525 |
| 02 02 02 02 | გარე განათების ქსელის მოვლა-ექსპლუატაცია | 0 | 335 000 | 300 000 | | 300 000 |
| | ხარჯები | 0 | 335 000 | 300 000 | | 300 000 |
| | საქონელი და მომსახურება | 0 | 335 000 | 300 000 | | 300 000 |
| | მთა თეთრობში ელექტროგადამცემი | | | | | |



| | | | | | | |
|-------------|-------------------------------------------------------------------------------------------|---------|---------|-----------|---|-----------|
| 02 02 02 03 | ქსელის რეაბილიტაცია (მეორე ეტაპი) | 0 | 171 310 | 0 | | 0 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 0 | 171 310 | 0 | | 0 |
| 02 02 02 05 | ბელლეთის მთის ახალ იაილაში ელექტროგადამცემი ქსელის რეაბილიტაცია | 199 103 | 0 | 0 | | 0 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 199 103 | | 0 | | |
| 02 02 02 06 | მთა ზედა და ქვედა ყორანაიაილბში ელექტროგადამცემი ქსელის რეაბილიტაცია | 0 | 334 955 | 0 | | 0 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | | 334 955 | 0 | | |
| 02 02 02 09 | რიყეთის ადმინისტრაციული ერთეულის საზაფხულო იაილაების ელექტროგადამცემი ქსელის რეაბილიტაცია | 316 869 | 0 | 0 | | 0 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 316 869 | | 0 | | |
| 02 02 02 10 | მთა ზორტიყელში შიდა ელექტროგადამცემი ქსელის რეაბილიტაცია (მეორე ეტაპი) | 35 382 | 215 767 | 0 | | 0 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 35 382 | 215 767 | 0 | | |
| 02 02 02 11 | ვაშლოვანის და დიდაჭარის მთებში ელექტროგადამცემი ქსელის რეაბილიტაცია | 0 | 470 000 | 0 | | 0 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | | 470 000 | 0 | | |
| 02 02 02 12 | სოფელ ქვემო ვაშლოვანიდან სატბაოს ტერიტორიის მიმართულებით ელექტროგადამცემი ქსელის მოწყობა | 0 | 179 355 | 0 | | 0 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | | 179 355 | 0 | | |
| 02 02 03 | ა(ა)იპ ხულოს წყალკანალი | 332 293 | 486 419 | 608 328 | | 608 328 |
| | მომუშავეთა რიცხოვნობა | 42 | 42 | 42 | | 42 |
| | ხარჯები | 328 243 | 482 549 | 604 128 | | 604 128 |
| | შრომის ანაზღაურება | 182 864 | 252 300 | 277 530 | | 277 530 |
| | საკონელი და მომსახურება | 138 529 | 226 249 | 326 598 | | 326 598 |
| | სხვა ხარჯები | 6 850 | 4 000 | 0 | | 0 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 4 050 | 3 870 | 4 200 | | 4 200 |
| 02 02 04 | წყალსადენების მშენებლობა-რეაბილიტაცია | 822 457 | 928 700 | 1 293 608 | | 1 293 608 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 822 457 | 928 700 | 1 293 608 | 0 | 1 293 608 |



| | | | | | |
|-------------|----------------------------------------------------------------------------------------------------|---------|---------|---------|---------|
| 02 02 04 01 | ყინჩაურის სასმელი წყლის სისტემის მოწყობა | 0 | 137 057 | 0 | 0 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | | 137 057 | 0 | |
| 02 02 04 02 | სოფელ წაბლიანში სასმელი წყლის შიდა გამანაწილებელი ქსელის მოწყობა | 6 707 | 0 | 71 803 | 71 803 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 6 707 | | 71 803 | 71 803 |
| 02 02 04 03 | სოფელ მინთაძეების სასმელი წყლის მაგისტრალის მოწყობა (მეორე ეტაპი) | 76 329 | 16 212 | 0 | 0 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 76 329 | 16 212 | 0 | |
| 02 02 04 04 | სოფელ ფუშრუკაულის სასმელი წყლის სისტემის რეაბილიტაცია | 0 | 0 | 109 998 | 109 998 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | | 0 | 109 998 | 109 998 |
| 02 02 04 05 | სოფელ ბელეთის, გელაძეების, კორტოხისა და პაქსაძეების სასმელი წყლის მაგისტრალის რეაბილიტაცია | 138 545 | 0 | 253 000 | 253 000 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 138 545 | | 253 000 | 253 000 |
| 02 02 04 06 | კურორტ ბეშუმში სასმელი წყლის სამარაგო რეზერუარის მოწყობა | 52 288 | 0 | 0 | 0 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 52 288 | | 0 | |
| 02 02 04 07 | სოფელ ირემაძეებში სასმელი წყლის შიდა გამანაწილებელი ქსელის მოწყობა | 4 830 | 48 899 | 0 | 0 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 4 830 | 48 899 | 0 | |
| 02 02 04 08 | სოფელ შურმულში სასმელი წყლის სისტემის რეაბილიტაცია | 0 | 0 | 153 998 | 153 998 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | | | 153 998 | 153 998 |
| 02 02 04 09 | სოფელ ქედლებში ჭოლონის უბანში სასმელი წყლის სისტემის რეაბილიტაცია | 34 765 | 0 | 0 | 0 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 34 765 | | 0 | |
| 02 02 04 10 | მუნიციპალიტეტის სხვადასხვა სოფლებში სასმელი წყლის შემკრები და გამანაწილებელი რეზერვუარების მოწყობა | 3 825 | 0 | 0 | 0 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 3 825 | | 0 | |
| 02 02 04 11 | სოფელ კვატაში წყალსადენის სისტემის მოწყობა | 0 | 0 | 104 000 | 104 000 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | | | 104 000 | 104 000 |
| 02 02 04 12 | სოფელ წინწკალაშვილებში სასმელი წყლის სისტემის რეაბილიტაცია | 0 | 39 941 | 0 | 0 |



| | | | | | | |
|-------------|-----------------------------------------------------------|---------|---------|--------|--|--------|
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | | 39 941 | 0 | | |
| 02 02 04 13 | სოფელ ზემო თბილვანაში სასმელი წყლის სისტემის რეაბილიტაცია | 116 284 | 0 | 0 | | 0 |
